საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 32 (305) ● შაბათი, 15 თებერვალი, 1992 წელი ● ფასი 60 კაპიკი.

დიდი წინაპარი შეგვახსენებს:

> ხელებს ნუ იკრებთ გულზედა, საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა,
> თვით უპატრონეთ თავისთავს, ნუ იმედოვნებთ სხვებზედა.
>
> ვაჟა-ფშაველა

ნომერში:

⊙ ბრძოლა არ იქნება კანონიერი, თუ საქმე წარმოებს ახალი იურიდიული უფლების მოსაპოვებლად. მე-2 გვ.
⊙ გაზეთების ბუმი და გამომცემლობის პრობლემები. მე-2 გვ.
⊙ სხვა გაზეთებიდან: ნაპოლეონს ჩვეულებრივი ადამიანური თვისებები გააჩნდა — კარგიც და ცუდიც. მე-3 გვ.
⊙ საკვირაოდ, თავშესაქცევად. მე-4 გვ.

წუხელ შეიტყვეთ

კომენდატურის ცნობა

18 თებერვლის ღამე ძალიან დაძაბული იყო თბილისის სამხედრო კომენდატურისა და მილიციის თანამშრომლებისთვის. ძალთა მეტი მობილიზაციის მიზნით, ჯერ კიდევ 18 თებერვალს ქალაქის კომენდანტმა გამოსცა ბრძანება, რომ კომენდატურის ყველა შეიარაღებული წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო თავის ადგილზე და არ ჰქონდათ ქალაქში გადაადგილების უფლება. ამის მიუხედავად, კომენდანტის საათის დროს იყო შეიარაღებული თავდასხმები პიკეტებზე, სახლების გაძარცვის, ავტომანქანების ქურდობის ცდები. სამწუხაროდ, არის მსხვერპლიც. ეს აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს ქალაქის სამხედრო კომენდანტის თანაშემწემ მურთაზ გაბუნიამ.

— ღამის პირველი საათი იქნებოდა, — თქვა მ. გაბუნიამ, — როცა გლდანის რაიონში პიკეტზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. მოკლულია ამ რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ორი თანამშრომელი და დაჭრილია ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს ამ ქვეგანაყოფის სამი მებრძოლი. დაპატიმრებულია ერთ-ერთი თავდამსხმელი გელა არჩემაშვილი, რომელიც მუდმივად არ არის ჩაწერილი თბილისში. დანაშაულის დანარჩენმა თანამონაწილეებმა, რომელთა შორის ქალიც არის, შემთხვევის ადგილიდან გაქცევა შეძლეს. ორ მამაკაცს გვარდიელის ფორმა ეცვა. სამივე ბანდიტია, რომლებსაც არაერთგზის მიუღიათ მონაწილეობა ამა თუ იმ ოჯახის ძარცვაში. ჩვენ უკვე ვიცით მათი ადგილსამყოფელი. მინდა დავარწმუნოთ, რომ მალე დავაპატიმრებთ.

— შუაღამისას, ვაკის რაიონში, — თქვა მან შემდეგ, — უცნობმა პირებმა ჩვენი გვარდიელი მოკლეს. შემთხვევის ადგილას მისულმა ვაკის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებისა და სამხედრო კომენდატურის მუშაკებმა დაადასტურეს, რომ მკვლელებს არ წაუღიათ ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი (ავტომატი და პისტოლეტი). ღამის ოთხ საათზე სოფელ დიღმიდან ტელეფონით შეგვატყობინეს, ბანდიტები ერთ-ერთ ოჯახს დაესხნენო თავს. ჩვენი მხრივ ეს მცხეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას ვაცნობეთ და მისი მუშაკები, ისევე როგორც ჩვენ, შემთხვევის ადგილას მივედით. წუხელ იყო ავტომანქანის ქურდობის სამი ცდა. ამ დანაშაულობათა ორი მონაწილე დავაკავეთ, დავაკავეთ აგრეთვე კომენდანტის საათის დამრღვევებიც.

თუ რა მოხდა სოფელ დიღომში, გვესაუბრება თავად დაზარალებული ცუგო დორაული.

— 18 თებერვალს, ღამის 23 საათი იქნებოდა, რომ უცნობებმა ავტომატის კონდახით ჩემი სახლის ფანჯრის მინა ჩაამსხვრიეს და შემოჭრა სცადეს. მე დავასწარი და სანადირო თოფი ვესროლე, ერთი მათგანი დავჭერი. მისი სისხლის ნაკვალევი ჯერაც არ წაშლილა შემთხვევის ადგილას. ჩემი სახლის ყველა ოთახი ავტომატის ჯერით არის დაცხრილული. ჩემს დასახმარებლად მეზობლები მოცვივდნენ, რომლებიც რითაც შეეძლოთ, შეიარაღებულიყვნენ. მალე მცხეთის რაიონის მილიციისა და თბილისის სამხედრო კომენდატურის წარმომადგენლები მოვიდნენ. მადლობა ღმერთს, რომ შვილები არ დამიშავდნენ. მაგრამ ისინი, ისევე როგორც ოჯახის მოზრდილი წევრები, თავზარდაცემული არიან: ბანდიტებმა გაქცევა მოასწრეს. დილაადრიან ჩემი ტელეფონი აწკრიალდა. ბანდიტები მე და ჩემი ოჯახის წევრებს ანგარიშსწორებით დაგვემუქრნენ.

და კიდევ... დილით, როგორც თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოში შეგვატყობინეს, გარკვეული დროით შეჩერდა მოძრაობა სადგურებს „თემქასა“ და „ახმეტელის თეატრს“ შორის. მიზეზებს არკვევენ...

●

უკომენტაროდ

როგორც ჩრდილოეთ ოსეთის პრესა იუწყება, 14 თებერვალს „ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა რუსი ეროვნების ლეგიონის მოხალისეთა პირველი რაზმი, რომელიც შექმნილია რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების მუშებისგან. უახლოეს დღეებში იგი სამხრეთ ოსეთში გაემგზავრება. მოხალისენი არ აპირებენ მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებულ მოქმედებაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მათი ერთადერთი ამოცანაა რუსეთის სამხრეთის საზღვრების დაცვა“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

წუხელ შეიტყვეთ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ისევ ფასების ლიბერალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ

ფასების ლიბერალიზაცია, ასე მტკივნეულად რომ იგრძნო ჩვენმა ჯიბემ, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა არ შეხებოდა რესპუბლიკის სატრანსპორტო კომპლექსის ტარიფებსაც, რომელიც, სხვა დარგებთან ერთად, დღეს მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის.

15 თებერვლიდან გაძვირდა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობა. ტრამვაის, ტროლეიბუსის, ავტობუსის ბილეთი ახლა ღირებს 50 კაპიკი. რბილ სავარძლიანი ექსპრესის მგზავრები გადაიხდიან 2 მანეთს. ხოლო მაგარსავარძლიანი ექსპრესის მგზავრები 1 მანეთიდან 1 მანეთსა და 50 კაპიკამდე. აეროპორტში კომფორტული „იკარუსით“ მგზავრობა ღირებს 3 მანეთი. მოიმატა სამარშრუტო ტაქსების ფასებმაც. თუ მარშრუტის სიგრძე 6 კილომეტრს არ აღემატება, ერთი მგზავრის ღირებულება შეადგენს 1 მანეთს, 10 კილომეტრამდე მანძილზე — 1 მანეთსა და 50 კაპიკს, ათ კილომეტრზე მეტ მანძილზე — 2 მანეთს. მსუბუქ ტაქსში მგზავრის ჩაჯდომისას მრიცხველი მაშინვე აღნიშნავს 2 მანეთს და ყოველი მომდევნო კილომეტრიც 2 მანეთი ღირება. მიმდინარე წლის პირველი მარტიდან თბილისის მეტროთი მგზავრობა მოქალაქეს დაუჯდება არა ხუთი, არამედ 60 კაპიკი.

სამგზავრო თვიური ბილეთები ქალაქელებს დაუჯდებათ 60 მანეთი. მნიშვნელოვანი ფასჩამოკლებით შეიძენენ მათ სტუდენტები და სკოლების მოსწავლეები — შესაბამისად, 30 მანეთად და 15 მანეთად. დაწესებულებებს თავიანთი თანამშრომლებისთვის შეუძლიათ გადარიცხვით შეიძინონ სამგზავრო ბილეთები 120 მანეთად.

- ასეთი გაძვირების მიუხედავად, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი რენტაბელური ვერ გახდება და მაინც დოტაცია დასჭირდება.

ეს მონაცემები აღებულია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებიდან, რომელიც 13 თებერვალს არის მიღებული მის მორიგ სხდომაზე, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით რომ გაიმართა. რესპუბლიკის სატრანსპორტო კომპლექსში ერთიანი სატარიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შემოღებულია როგორც მგზავრთა გადაყვანის, ასევე ტვირთზიდვის ტარიფების დამტკიცებისა და რეგულირების ახალი წესი.

„ფასების ლიბერალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“ თავისი 1992 წლის 29 იანვრის დადგენილების შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადება და დაამტკიცა რძის ახალი შესასყიდი და საცალო ფასები. მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან პირველი ხარისხის ერთი ტონა რძის შესასყიდი ფასი იქნება 5000 მანეთი, მეორე ხარისხისა — 4500, უხარისხოსი — 4000 მანეთი. შესაბამისად იზრდება რძის საცალო ფასიც. მაგალითად, ერთი ლიტრი პასტერიზებული 3,2-პროცენტიანი ცხიმიანობის რძე მათარიანად ეღირება 6 მანეთი, ხოლო 2,5-პროცენტიანი ცხიმიანობისა — 5 მანეთი.

განიხილეს რესპუბლიკაში დანიშნულებისამებრ შემოსული ჰუმანიტარული დახმარების მიღების, განაწილებისა და გამოყენებისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი. მთელი ამ მუშაობის საკოორდინაციოდ გადაწყვეტილია შეიქმნას მთავრობის კომისია, აგრეთვე ხუთი დარგობრივი ქვეკომისია: სურსათის, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, საშენი მასალის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების და ტექნიკური დანიშნულების სხვადასხვა საქონლისა. რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, დაევალათ, უმკაცრესი კონტროლი დაუწესონ ჰუმანიტარული დახმარების მიღებას, შენახვასა და მიზნობრივად განაწილებას.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში შექმნილი ენერგეტიკული რესურსების მწვავე დეფიციტის გამო მრავალი სამრეწველო საწარმო და გაერთიანება იძულებული გახდა შეეჩერებინა მუშაობა. ამიტომ, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, ეს საწარმოები და გაერთიანებანი თავისუფლდებიან რესპუბლიკაში მომხმარებლებისთვის იმ პროდუქციის მიუწოდებლობის გამო საუპიროს გადახდისგან, რომელიც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ვალდებულებებით. ამასთანავე, ამ საკითხის განხილვისას, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ელექტროენერგიის მიწოდება უწინარესად ისეთი საარსებო მნიშვნელობის ობიექტებისთვის, როგორიცაა ელევატორები და პურის ქარხნები. კერძოდ, მკაცრი სჯა-ბაასი გაიმართა იმის თაობაზე, რომ ახლა არაფრით არ შეიძლება შეფერხებანი ფოთის საზღვაო ნავსადგურში მარცვლეულის გადმოტვირთვის დროს, იქაური წისქვილკომბინატის მუშაობაში, რაზეც ბევრად არის დამოკიდებული პურით რესპუბლიკის მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება.

მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დროებითი დებულება და მისი სტრუქტურა. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გამოეყოს სატყეო მეურნეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქტყემეურნეობა“. ამ სამინისტროს, ამიერიდან ეწოდება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. განიხილეს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საკითხიც, დამტკიცდა მისი სტრუქტურა.

იმასთან დაკავშირებით, რომ შარშანდელი წლის მეორე ნახევარში და მიმდინარე წლის იანვარში რესპუბლიკაში დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იყო, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1992 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება, რომ 1993 წლისთვის გადაიდოს კონკურსი ამ პრემიების მოსაპოვებლად. როგორც ნათქვამია, მიღებულ დადგენილებაში, ეს კეთდება გამონაკლისის სახით. სახელმწიფო პრემიების მინიჭების პერიოდულობა — ორ წელიწადში ერთხელ — არ დაირღვევა.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ყოფილი სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სპორტული ლატარიების რესპუბლიკური გაერთიანების „საქსპორტლოტოს“ ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტო“. დამტკიცებულია მისი წესდება, დაკმაყოფილდა ამ სამინისტროს და მისი კორპორაციის წინადადება, რომ წელს თბილისში გაიმართოს ფულისა და ნივთების სპორტული ლატარიის ორი ტირაჟი: „ბარსელონა-92“ და „საქსპორტლოტო-20“. პირველი ნავარაუდევია მოეწყოს სპორტის სასახლეში 17 ივნისს, მეორე — იქვე 25 ნოემბერს.

მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხებიც.

რამდენი და რა გვერგება

დადასტურდა ხმები, რომ დადგენილია ერთ ხელზე ასანთის გაყიდვის ნორმა. ერთი მხრივ, ნორმირებული პროდუქტების თებერვლის ნუსხას შეემატა კიდევ ახალი დასახელება, მეორე მხრივ კი ჩვენი ყოველთვიური ულუფიდან „ამოვარდა“ ისეთი საარსებო მნიშვნელობის სასურსათო პროდუქტები, როგორიცაა კარაქი და მცენარეული ზეთი, კვერცხი და ფქვილი.

— გამოჩნდება თუ არა ისინი უახლოეს ხანში?

ამ კითხვას თბილისის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ზურაბ ყორჩიაშვილმა** გარკვეულად ვერ უპასუხა.

— ამრიგად, ათი დასახელების საქონლიდან ოთხი დაგვაკლდა. სად გაქრა ბურღული და ბრინჯი, რომლებიც კვარტალში ერთხელ უნდა მიგვეღო.

— მათ ჯერჯერობით მხოლოდ სახელმწიფო-საბიუჯეტო ორგანიზაციებს ვაწვდით. ღია სავაჭრო ქსელში, როგორც მომწოდებლები გვარწმუნებენ, ისინი აუცილებლად მოხვდება.

ვნახოთ, კვარტალის ბოლომდე ჯერ კიდევ თვე-ნახევარია. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— როგორია თებერვალში ერთ სულ მოსახლეზე დარჩენილი საქონლის ნორმა?

— შაქარი და მაკარონეული (კვარტალური ნორმა) ნახევარი კილოგრამია, სიგარეტი — ოთხ-ოთხი კოლოფი, ასანთი — ორ-ორი კოლოფი სულზე. ეს თვიური ულუფაა. კვარტალში ერთხელ — თითო შეკვრა მარილი.

— რით ახსნით მაღაზიებში პროდუქტების მიღების შეფერხებას?

— ცუდად გამართული საექსპედიტორო სამსახურით, მანქანებისა და საწვავის ნაკლებობა გავლენას ახდენს მომარაგების რიტმულობაზე. სცოდავს ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკიც, რომლებიც სრულ ინერტულობას იჩენენ საქონლის სწრაფად მიტანაში. ყოველივე ეს ერთად იმას იწვევს, რომ ზოგიერთი მაღაზია საქონელს დროულად იღებს, ზოგან კი მომხმარებელს ხვდებიან სიტყვებით: „ბაზა არ გვაძლევსო“. საცხოვრებელ მინიმუმამდე, მართალია, შორს არის. მაგრამ, გარწმუნებთ, რომ გარანტირებული ექვსი დასახელების პროდუქტს ყოველი თბილისელი მიიღებს.

ლარისა თუმანიშვილი,
საქინფორმის კორ.

ტელეტაიპის ლენტიდან

აფხაზეთის ამბები

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგ სხდომაზე, რომელიც 14 თებერვლისათვის იყო გადმოტანილი, ხანგრძლივი დავა გამოიწვია წინადადებამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის აფხაზეთის რესპუბლიკად გადარქმევის შესახებ.

რეგიონში ახლანდელი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დროს, როცა მის ტერიტორიაზე საქართველოს ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფები არიან წესრიგის დამყარების მიზნით, როცა გამსახურდიას მთელი რიგი მომხრენი ყოველდღე იკრიბებიან საპროტესტო მიტინგებზე, როცა ქალაქი აგზნებულია იმით, რომ არ ჰყოფნის პური, ელექტროენერგია, არ არის სათბობი, გაზი, ეს საკითხი თითქოს არ უნდა მდგარიყო სესიის დღის წესრიგში. მაგრამ მაინც, დეპუტატთა გარკვეული ნაწილი, ყოველნაირად ცდილობს მის გადაწყვეტას სწორედ ახლა, დღეს.

შემთხვევითი არ არის, რომ სესიაზე დაისვა საკითხი, რაკი აფხაზეთის ტელევიზია პირდაპირ ეთერში არ გადასცემს მის მუშაობას, არჩია ჩვენების რეპორტაჟული ფორმა, მაშინ აუცილებელია უმკაცრესი ობიექტურობა სხვადასხვაგვარი ჟურნალისტური კომენტარების დროს, განსაკუთრებით დაინტერესებულ მხარეთა დეპუტატების გამოსვლების ჩვენებისას.

ამ და სხვა საკითხებზე აზრთა გაზიარების შემდეგ, დეპუტატებმა ხმების უმრავლესობით დაამტკიცეს მორიგი სესიის დღის წესრიგი. ეს არის — სამართლებრივ საკითხთა, ეკოლოგიისა და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიების არჩევა, მიწის, მიწათსარგებლობის, საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის, აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილების გაყვანის, აქ მოქალაქეთა განსაკუთრებული ქცევის რეჟიმის შემოღების, რესპუბლიკისთვის სახელის გამოცვლისა და სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლის შესახებ კანონთა პროექტების განხილვა.

დეპუტატთა წინადადებით, სესიის მუშაობის დღის წესრიგში შეიტანეს საკითხი „სხვადასხვა“. სესია მუშაობას განაგრძობს. მიმდინარეობს დღის წესრიგის თითოეული საკითხის დაინტერესებული განხილვა.

⊙

სოხუმში მიტინგები გრძელდება

მიუხედავად იმისა, რომ წლის ამ დროის სოხუმისთვის უჩვეულო სიცივეებია, გამსახურდიას მომხრეები ყოველდღე აწყობენ კონსტიტუციის მოედანზე ორ-სამსაათიან მიტინგებს. ისინი განიხილავენ სხვადასხვა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს დროებითი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის აქციები აფხაზეთის ცალკეულ საწარმოებსა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში. ექსპრეზიდენტის ერთგული მომხრეები აქ, რომ იტყვიან, გულს იოხებენ.

ამასობაში 140-ათასიანი მრავალეროვანი სოხუმი თავისი ძნელი, დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობს. ცუდად მუშაობს ტრანსპორტი, არ ჰყოფნით ელექტროენერგია, არ არის გაზი და სათბობი, დაცარიელდა არა მარტო მაღაზიები, არამედ ბაზრებიც, სადაც თავისუფალ, საარაკო ფასადაც კი ყოველთვის ვერ იყიდი საჭირო პროდუქტებს.

⊙

თათბირი პრაქტიკული დახმარების გაწევის საკითხზე

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დავალებით, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ლაბახუამ გალში მოაწყო სამუშაო თათბირი ამ დიდი რაიონის მოსახლეობისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევის საკითხზე. თათბირში მონაწილეობდნენ ადრინდელი პრეფექტის ნაცვლად დროებითი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ცატავა, პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი და მთელი რიგი სამინისტროებისა და აფხაზეთის კოოპკავშირის ხელმძღვანელები, მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, ადგილობრივ მეურნეობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

საბჭოს სხდომის წინ გაიმართა საუბარი რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. შეეხნენ სახალხო მეურნეობის მდგომარეობის და რაიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების საკითხებს. კერძოდ, სჯა-ბაასი შეეხებოდა იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილია აქ და საერთოდ აფხაზეთში საქართველოს ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფების ყოფნა, რომელმაც, ბევრის აზრით, შეასრულა რკინიგზის ტრანსპორტზე წესრიგის დამყარების მისია და ახლა უნდა დატოვოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია.

სხვათა შორის, წინა დღით აფხაზეთის ტელევიზიით გადაცემულ ინტერვიუში ამასთან დაკავშირებით ზ. ლაბახუამ თქვა, რომ საქართველოს დროებითი მთავრობა გაგებით მოეკიდა აფხაზეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის მოთხოვნას ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფების გაყვანის შესახებ იმ პირობით, რომ აქ აღარ მოეწყობა რკინიგზისა და სხვა ტრანსპორტის ბლოკადები.

⊙

გულმოწყალების აქცია

იმ ძველი ტრადიციების ერთგული, რომ მოყვასი გასაჭირში არ მიატოვოს, აფხაზეთი აქტიურად გამოეხმაურა პარლამენტის მოწოდებას რესპუბლიკის საზოგადოებრიობისადმი დაეხმარონ გაჭირვებულებს. აფხაზეთის ახალგაზრდობის კავშირისა და ქალაქ სოხუმის ევანგელისტთა ეკლესიების საინიციატივო ჯგუფმა აფხაზეთის მართლმადიდებლური, წითელი ჯვრის საზოგადოების მხარდაჭერით სოხუმის საქალაქო საბჭოს იკისრა მოშიმშილეთა უფასო კვების პუნქტების მუშაობის ორგანიზაცია. ევანგელისტთა ეკლესიების ხელმძღვანელობა უკვე ამყარებს კავშირს საზღვარგარეთელ თანამოძმეებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, დასავლეთ ევროპაში, რომლებსაც დახმარების გაწევა შეუძლიათ.

გულმოწყალების აქციაში მონაწილეობის მსურველთათვის სოხუმის ბინსოცბანკში გახსნილია გაჭირვებულთა დახმარების ფონდის ანგარიში — 70004.

თენგიზ ჯიბუტი.

ტელეტაიპის ლენტიდან

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის განცხადება

1992 წლის იანვარში დაწყებული საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი მართვის ყველა დონეზე დემოკრატიული სტრუქტურების დამკვიდრებას მოითხოვს. ამ მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადგილებზე თვითმმართველობის შემოღებას, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 10 იანვრის დადგენილებით განისაზღვრა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოების ფორმირების წესი. ამ დადგენილების თანახმად, აღდგა ყველა დონის საკრებულოთა საქმიანობა, გაუქმდა პრეფექტურის ანტიდემოკრატიული ინსტიტუტი, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების. აღმასრულებელი ორგანოების არჩევის პრეროგატივა გადაეცათ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების საკრებულოებს, ხოლო იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არ იყო, ეს პრეროგატივა გადაეცა რაიონისა და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლობით კრებას პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით. ამით რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ უარი თქვა რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელობის ზემოდან დანიშვნის მანკიერ პრაქტიკაზე, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა დამხობილი რეჟიმის მიმართ.

ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელი ორგანოების ამ წესით ფორმირების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ უმეტეს შემთხვევაში, მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელთა ადგილზე არჩევას. ამასთან, ზოგიერთ რაიონში ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნების მიმართ გაისმის გარკვეული პრეტენზიები, ჩნდება დაპირისპირებული ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დაუმტკიცონ ამა თუ იმ კანდიდატის უპირატესობა.

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა აცხადებს, რომ ამჟამად ფორმირებული ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელი ორგანოები დროებითი სტრუქტურებია, რომელთა ამოცანაა, ადგილებზე სტაბილური ვითარების შექმნა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარება, ხოლო მოსახლეობის ინტერესების სრულად გათვალისწინების, აგრარული რეფორმისა და პრივატიზაციის პროცესის სამართლიანად წარმართვის, მართვის დემოკრატიულ ფორმებზე გადასვლის მიზნით მარტ-მაისში დაიწყება ადგილობრივი მმართველობის სისტემის კარდინალური რეფორმა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი ადმინისტრაციულ-ერთეულების ხელმძღვანელების არჩევნები იქნება, როცა მოსახლეობა, უშუალოდ აირჩევს სოფლის, დაბის თუ ქალაქის თავს.

ამ რეფორმის განხორციელების მიზნით იქმნება ადგილობრივი მმართველობის სამთავრობო კომისია, რომელშიც შევლენ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებათა წარმომადგენლები და სპეციალისტები. კომისია მოამზადებს ადგილობრივი მმართველობის რეფორმის პროექტს, შეიმუშავებს ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს არჩევნების დებულებას და უზრუნველყოფს ამ არჩევნების ორგანიზებულ და დროულ გამართვას.

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა მოუწოდებს ადგილებზე ამჟამად მოქმედ ხელისუფლების ორგანოებს, თავი შეიკავონ კადრების რადიკალური ცვლილებისგან, რათა არჩევნებამდე შეინარჩუნონ სტაბილური ვითარება.

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა იმედოვნებს, რომ ადგილობრივი მმართველობის რეფორმა ქვეყნის დემოკრატიზაციის, ხელისუფლების დეცენტრალიზაციის, რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და პარლამენტის არჩევნების ჭეშმარიტად დემოკრატიულ ვითარებაში გამართვის უმთავრესი გარანტი იქნება.

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

დამტკიცდა საკრებულოთა გამგეობანი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა:

ამბროლაურის რაიონის საკრებულოს გამგეობის შემადგენლობა: დავით ქემოკლიძე — გამგეობის თავმჯდომარე, თენგიზ ბოჭორიშვილი — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, თენგიზ ველიაშვილი, თენგიზ მესხი, ამალია დოხნაძე, რევაზ კერესელიძე, ჯონი მხეიძე, ლევან თევზაძე, გაიოზ გაგოშიძე — გამგეობის წევრები.

დაწესდა **ჩოხატაურის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა ჩოხატაურის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შემადგენლობა: შალვა მახარაძე — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, დავით ყლენტი — თავმჯდომარის მოადგილე, კორნელი კუკულავა, გია ცინცაძე, ზურაბ ჩანტლაძე, გია ჩხიკვიშვილი, რეზო თოდაძე — გამგეობის წევრები.

დაწესდა **საგარეჯოს რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

გივი საბაშვილი დამტკიცდა საგარეჯოს რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად და მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მიღებულია საგარეჯოს რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გ. საბაშვილის წინადადება და დამტკიცდა საგარეჯოს რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შემადგენლობა: თამაზ დღულაშვილი, ვალერიან მჭედლიშვილი — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები, ავთანდილ აჩელაშვილი, დავით შაქარაშვილი, თენგიზ ბაბუნიძე, გელა კევლიშვილი, გია ნაცვლიშვილი, ზურაბ ქურთიშვილი — გამგეობის წევრები.

მიღებულია **ბოლნისის რაიონის** ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ა. წულაიას წინადადება და დამტკიცდა ბოლნისის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შემადგენლობა: ვაჟა ავქოფაშვილი — გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პეტრე დანელია — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ვახტანგ სულამანიძე, ზაურ ერაძე, დიმიტრი დევიძე, გურამ ქვერნაძე, აკაკი კაპანაძე — გამგეობის წევრები.

დაწესდა **თეთრი წყაროს რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა რომან დალაქიშვილი თეთრი წყაროს რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად და მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მიღებულია **გარდაბნის რაიონის** ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მამალაძის წინადადება და დამტკიცდა გარდაბნის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შემადგენლობა: შალვა გლოველი — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, მანსურ დამდამიროვი, თარაშ ხაბულიანი, ნუგზარ ფერიაშვილი, ნაზი ეპიტაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, მერაბ ზამბახიძე, მაგამარ გასანოვი, ზურაბ ცოფურაშვილი, ჯობენ ონიანი — გამგეობის წევრები.

დაწესდა **ხონის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო-ხონის რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა აკაკი ბობოხიძე ხონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად: მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დაწესდა **ბორჯომის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა ოთარ გოცირიძე ბორჯომის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად და მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 10 იანვრის დადგენილების შესაბამისად, ყველა ზემოხსენებულ ქალაქსა და რაიონში გაუქმებულად ჩაითვალა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებითი საგანგებო რწმუნებულების თანამდებობანი.

საქართველოს საკითხი

ჯანრი კაშია

წერილი პარიზიდან

ძირითადი საკითხი, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის პირობებში წამოიჭრება, იქნება ეს ბრძოლა უცხოელი დამპყრობლის თუ შინაური დიქტატორის წინააღმდეგ — ეს არის იმ საშუალებისა და ფორმის საკითხი, რომლითაც დაპყრობილ ერს შეუძლია თავის განთავისუფლება.

ერის დაპყრობის არცერთი დაკანონებული ფორმა თავისთავად კანონიერი (ლეგიტიმური) არ არის. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო სამართალში და საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრშიც უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა: ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნის დაპყრობას გმობენ. ამავე დროს ზოგიერთ მებრძოლ ერს პოვებს საერთაშორისო დახმარებას — მორალურს თუ რეალურს, ესე იგი სამხედროს. ამის მაგალითებს მრავლად გვაქვს უკანასკნელი ათწლეულის ისტორიაში. აი, თუნდაც, გაეროს გადაწყვეტილებით საერთაშორისო ძალებმა ქუვეითის განთავისუფლება ერაყის ოკუპაციისგან. ერაყს არაერთგზის შესთავაზეს ნებით გამოსულიყო ქუვეითიდან და შეეწყვიტა აგრესია, ანუ აღედგინა საერთაშორისო სამართლიანობა, და როდესაც ამ მოწოდებამ არ გაჭრა, ერაყის წინააღმდეგ გამოიყენეს კანონიერი და სამართლიანი საშუალება — საერთაშორისო გაერთიანებული ძალების სამხედრო ოპერაციები.

სამართლის ცნობილი სპეციალისტი, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მიშელ მუსნერი ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში აღნიშნავდა, რომ „მწარედ მოტყუვდებიან ის ერნი, რომელნიც დამოუკიდებლობის მოპოვების იმედს თვითგამორკვევის უფლებაზე დაამყარებენ“. ერს მონობის უღლისაგან განათავისუფლებლად დღესაც ისევე არა აქვს სხვა გზა, გარდა აჯანყებისა, როგორც არ ჰქონდა უწინ. მაგრამ აჯანყება, ძალით მოქმედება კანონიერი ხდება. მაშინ, როდესაც საქმე წარმოებს ერისათვის უკანონოდ წართმეული ბუნებრივი უფლების აღსადგენად. ხოლო ბრძოლა არ იქნება კანონიერი, თუ საქმე წარმოებს ახალი ტერიტორიული უფლების მოსაპოვებლად“. („ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“. ბედი ქართლისა. 18. გვ. 38).

წართმეული უფლების აღდგენის კანონიერება დაადასტურა ქართველი ერის განუწყვეტელი წინააღმდეგობით დამპყრობლის — საბჭოთა რუსეთისადმი. ეს წინააღმდეგობა 1921 წლიდან 1924 წლამდე შეიარაღებული აჯანყებით გამოიხატებოდა. 1924 წლიდან 1991 წლამდე კი იგი იღებს სოციალური, პოლიტიკური, ინდივიდუალური თუ ჯგუფური წინააღმდეგობისა და პროტესტების სახეს, ე. ი. მშვიდობიანი წინააღმდეგობის ფორმით ვლინდება. ეს ბრძოლა დაგვირგვინდა 1991 წლის 9 აპრილის რეფერენდუმში შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით. სწორედ ამ აღდგენაში ვპოვებთ დღეს ჩვენი ბრძოლის კანონიერების სამართლებრივ საფუძველს. სწორედ ამან მისცა გარკვეულწილად საშუალება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 26 დეკემბერს (ესე იგი მაშინ, როდესაც დიქტატორი ბუნკერში იყო ჩაკეტილი და ოპოზიციური შეიარაღებული ძალები უტევდნენ მას). მაშინ ცნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაცვლად შექმნილ „სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ შემავალ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა, ამგვარად, საქართველო, ისევე როგორც ბალტიისპირა ქვეყნები, საერთაშორისოდ ცნობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელზეც ვრცელდება ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა. ამ მხრივ საქართველოს არავითარი წინააღმდეგობა არ ექმნება საერთაშორისო ასპარეზზე.

უფრო რთულად, ყოველ შემთხვევაში, ტექნიკურად, არის საქმე, როდესაც იგი ეხება შინაური დამპყრობლისგან — დიქტატორისგან განთავისუფლებას. აქ საკითხს ართულებს ის, რომ მეოცე საუკუნის დიქტატორები, ჩვეულებრივ, ლეგიტიმური, კანონიერი გზით — არჩევნებითა და უმრავლესობის მხარდაჭერით „დემოკრატებად“ და „ეროვნულ მოღვაწეებად“ მოდიან სახელმწიფოს სათავეში და თანდათან იპყრობენ შიგნიდან მას, გვევლინებიან უზურპატორთა როლში. მათი მეთოდებია საზოგადოების ტერორი, პრესის თავისუფლების ლიკვიდაცია, ოპოზიციონერთა დაპატიმრება ან მოსპობა. ამავე დროს ყოველივე ამას ისინი თავისი ძალაუფლების ლეგიტიმურ, კანონიერ უფლებაზე მითითებით სჩადიან და მორჩილი უმრავლესობის მხარდაჭერით აუქმებენ საზოგადოების არსებობის კანონიერ საფუძვლებს. არსებითად სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი უზურპაცია და ძალაუფლებად გარდაქმნა თავისთავად უკანონო მოქმედებაა, რომლის მიმართ არავითარი სხვა კანონიერი ბრძოლის საშუალება არ არსებობს, გარდა აჯანყებისა.

ვინ არ იცის, რომ ჰიტლერიცა და სტალინიც, მუსოლინიცა და ჩაუშესკუც სავსებით ლეგიტიმური გზით იყვნენ მოსული ხელისუფლების სათავეში და სარგებლობდნენ მასების მხარდაჭერით. მაგრამ მათ თავიანთი ხელისუფლება ძალის უფლებად გარდაქმნეს და დაამყარეს დიქტატურა, რომლის ბუნებისა და ხასიათის შესახებ დღეს არავის არა აქვს ორი აზრი. ამდენად, ლეგიტიმური დიქტატურა არ არსებულა და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან დიქტატურა თავისთავად ძალაუფლების კანონსაწინააღმდეგო ფორმაა.

იმდენად, რამდენადაც ეს შინაგანი დაპყრობა ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებით იფარგლება, იგი არ ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს და ამ სახელმწიფოს შინაური საქმეა, რომელში ჩარევასაც ეს სამართალი კრძალავს.

დიქტატურისგან განთავისუფლების კანონიერ გზად დღემდე მხოლოდ ერთი საშუალება რჩება — აჯანყება. აქ აჯანყებულთა რაოდენობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ დიქტატორის ჩამოგდების ფაქტს და იმ შემდგომ ნაბიჯებს, რომლებმაც უნდა დაადგინოს, ეს აჯანყება მოხდა წართმეული უფლებების და კანონიერების, ანუ კონსტიტუციური ხელისუფლებისა და თავისუფლებების აღსადგენად, თუ ახალი ძალაუფლების დასამყარებლად. სწორედ ამან განაპირობა ის „ღია კარი“, რომლებითაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებისადმი დამოუკიდებლობის ცნობის დროს და შემდგომაც ეს „ღია კარია“ ის ხუთი პრინციპი, რომელთა დაუცველად ამერიკის მთავრობა არ გადადგამს შემდგომ ნაბიჯს საქართველოსთან დასაახლოებლად და არ დაამყარებს პირდაპირ დიპლომატიურ ურთიერთობას. მაშასადამე, საკითხი ეხება იმ ნაბიჯებს, რომლითაც დიქტატურის დამმარცხებელმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა მოახდინოს თავისი ლეგიტიმაცია. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის წყობა, რომელიც დამოუკიდებლობასთან ერთად უნდა აღმდგარიყო საქართველოში და რომელიც დიქტატორმა არ აღადგინა, რითაც თვით დამოუკიდებლობის კანონიერებაც საეჭვო გახადა, არის დემოკრატია, დაფუძნებული 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაზე.

ამგვარად, დაისმის საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს შექმნილ ვითარებაში დიქტატურის მიერ უზურპირებული დემოკრატიული წყობის აღდგენა.

„დღეს საქართველოში მოქმედებს სამხედრო საბჭო, რომლის არსებობის აუცილებლობა განისაზღვრება საქართველოში შექმნილი დიქტატურის ჯერ კიდევ მადესტაბილიზებელი ბრძოლით თავისი უკანონოდ მიტაცებული ძალაუფლების დასაბრუნებლად, სამოქალაქო ომისკენ მოწოდებით, ეთნოკონფლიქტის ესკალაციით და სხვა. ამიტომ სამხედრო საბჭო უნდა მოქმედებდეს მდგომარეობის სრულ სტაბილიზაციამდე, სანამ გაიმართება საყოველთაო არჩევნები და შეუდგება მუშაობას ახალი დემოკრატიული პარლამენტი და მთავრობა, რომელიც მოხსნის სამხედრო საბჭოს უფლებამოსილებას, დაამტკიცებს საქართველოში დემოკრატიულ წყობას, შექმნის შესაბამის ორგანოებს და აამოქმედებს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას შესაბამისი ცვლილებებით.

დღეს ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა აღდგენილი დემოკრატიული წყობის ლეგიტიმირებისა და მდგომარეობის სტაბილიზებისთვის არჩევნებამდე სამხედრო საბჭოს მოქმედებასთან ერთად. ეს ნაბიჯია საერთო-სახალხო ანუ დამფუძნებელი დარბაზი (ანუ დამფუძნებელი კრება, როგორც იყო 1918 წელს, რომელზედაც 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს დამოუკიდებლობა ცნო 20 სახელმწიფომ, რაც დღესაც ძალაშია. საჭიროა მხოლოდ მათთან ურთიერთობის აღდგენა). თვით სამხედრო საბჭოს უაღრესად სამართლებრივად და დემოკრატიულად შედგენილ მიმართვაში საქართველოს მოსახლეობისადმი სამხედრო საბჭომ განაცხადა, რომ „პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ წინადადება შექმნან საკონსულტაციო დარბაზი, რომელიც მოამზადებს ახალ საპარლამენტო არჩევნებს და შეიმუშავებს საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროგრამას. დარბაზში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას და ორგანიზაციას, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომელთაც დარბაზი მოიწვევს.

საკონსულტაციო დარბაზის ეს მოდელი სავსებით შეესატყვისება იმ ერთადერთ ლეგიტიმურ, მაკონსტიტუირებელ ორგანოს, რომელსაც შეუძლია დამფუძნებელი კრების სახით გამოხატოს თავისი ერთობლივი ნება დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმის აღდგენის შესახებ.

ამავე დამფუძნებელ დარბაზს შეუძლია ლეგიტიმურ და დემოკრატიულ საფუძველზე, არჩევნებამდე და პარლამენტის პირველ სხდომამდე, გაუხანგრძლივოს უფლებამოსილების ვადა სამხედრო საბჭოს. ამავე დამფუძნებელ კრებას შეუძლია აღადგინოს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მოქმედება და არჩევნები ამ კონსტიტუციის პრინციპებთან შესატყვისობით მოაწყოს. დამფუძნებელ დარბაზს კანონიერ და გამართლებულ საფუძველზე შეუძლია აწარმოოს ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, მოიწვიოს მეთვალყურეები და სხვადასხვა ქვეყნის თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ გზით ჩვენ დღესვე შევძლებთ დავანახვოთ მსოფლიოს, რომ სამხედრო საბჭო და დამფუძნებელი დარბაზი არის დიქტატურის წინააღმდეგ და დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლი ორგანოები.

ვერავინ დააბრალებს სამხედრო საბჭოს, თითქოს მან არ შესთავაზებინოს დიქტატორისთვის თავისი ნებით გადადგომა, მშვიდობიანად უარეყო უზურპირებული ძალაუფლება და აღედგინა დემოკრატიული წყობა. მაგრამ დიქტატორმა არ ინდომა ეს, რითაც სავსებით დაადასტურა თავისი უკანონობა და ანტისაზოგადოებრიობა. ამის შემდეგ ერთი კანონიერი გზაღა რჩებოდა — შეიარაღებული ბრძოლით დიქტატურის დამხობისა, რაც სამხედრო საბჭომ კიდეც განახორციელა.

დამფუძნებელ დარბაზს შეუძლია მთელ მსოფლიოს აჩვენოს ჩვენი სწრაფვა, რაც შეიძლება მალე მოხდეს ქვეყნის სტაბილიზება, რათა საშუალება მოგვეცეს შევასრულოთ ის ხუთი პრინციპი, რომლებიც დღეს არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მთელი განვითარებული დემოკრატიული მსოფლიოს მიერ არის აღიარებული და შემოთავაზებული ურთიერთობათა კრიტერიუმად. ეს არის: დემოკრატიული წყობა, კერძო საკუთრება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ადამიანი და ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, უსაფრთხოება, სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და სხვ...

ჩემი მხრივ, თავს ნებას მივცემ აღვნიშნო შემდეგი: აუცილებელია, რომ დამფუძნებელმა საბჭომ სამხედრო საბჭოს უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივოს სექტემბრამდე, რადგან არჩევნებისათვის სექტემბერი უახლოეს ვადად მიაჩნს. ეს არის აუცილებელი დრო იმისთვის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და ჯგუფებმა შეძლონ არჩევნებისთვის სათანადოდ და თანაბარ პირობებში მომზადება. კვლავაც ვიმეორებ, რომ არავის აქვს უფლება არ ენდოს სამხედრო საბჭოს, რომელმაც შექმნა დიქტატურისგან სრული გათავისუფლების პირობა.

„მწარედ მოტყუვდებიან ის ერნი, რომელნიც დამოუკიდებლობის მოპოვების იმედს თვითგამორკვევის უფლებაზე დაამყარებენ“.

დღევანდელ რთულსა და მძიმე პირობებში ჩვენი გადარჩენის ერთადერთი საფუძველთა-საფუძველი ურთიერთზრუნვა და სიყვარულია

თეიმურაზ თოფურია.

საქართველოს დამსახურებული ექიმი, საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე.

ქველმოქმედება

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი შეშფოთებულია იმ სისხლისმღვრელი შეტაკებებით, რაც ბოლო ხანს მოხდა ჩვენს დედაქალაქში. მით უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოში ჯერაც დაძაბული მდგომარეობაა, ძმა ძმის სისხლსა ღვრის.

ასეთმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის მუშაობაზე. მან ვერ შეძლო გამოეყენებინა თავისი წესდებით გათვალისწინებული შესაძლებლობანი, სახელდობრ, დაემყარებინა სრულფასოვანი საქმიანი კონტაქტები არათუ უცხოეთის, არამედ ყოფილ სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკების ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთანაც კი.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებითა და ხელის შეწყობით, მაინც მოვახერხეთ მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის მატერიალური და სხვა სახის დახმარება, სამაჩაბლოელი ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარება, 30 ინვალიდისათვის გადასაადგილებელი ეტლების უფასოდ მიცემა, დეკემბერ-იანვარში, თბილისში, ძმათა ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენა და სხვა.

ამავე დროს ფონდს გადაწყვეტილი აქვს კიდევ უფრო გაამახვილოს ყურადღება და გაუზარდოს დახმარების ოდენობა მარტოხელა და ხანდაზმულ ინვალიდებს, მრავალშვილიან ოჯახებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც თბილისში ცხოვრობს, აგრეთვე მიიღოს აქტიური მონაწილეობა (ფულადი შენატანების სახით) რუსთაველის პროსპექტის აღდგენის სამუშაოებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ წარმოებები, რომლებიც მიზნობრივად ემსახურებიან მოწყალების კეთილშობილურ საქმეს და შექმნილი არიან მოწყალების ფონდთან, განთავისუფლდნენ სახელმწიფო დაბეგვრისაგან.

სადღეისო ვითარებაში საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდს, რესპუბლიკის მთავრობისა და საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, საშუალება უნდა მიეცეს შეუზღუდავად, არსებული ტრადიციული კავშირების ფარგლებში, გააფორმონ ხელსაყრელი კონტაქტები, ხელშეკრულებები, სხვადასხვა ქვეყნებთან, ფონდებთან, რათა რესპუბლიკაში სასწრაფოდ იქნეს შემოტანილი კვების პროდუქტები, მედიკამენტები და სხვა საქონელი. მით უმეტეს, რომ ამისი საშუალებები არსებობს. ამასთან ერთად, თვით რესპუბლიკაში ისეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ, რომ ცალკეული სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, წარმოება-დაწესებულებები, სხვა ორგანიზაციები მოწყალებით საქმიანობაში მარტო იმით კი არ შემოიფარგლონ, რომ პერიოდულად გამოჰყონ ხოლმე ერთდროული დახმარება (ფულადი სახსრების, ტანსაცმლისა, თუ სხვა შეწირულობათა სახით), არამედ თავის მოვალეობად მიიჩნიონ ხანდაზმულების, ინვალიდების, მარტოხელა და უმწეო ადამიანების და ა. შ. სისტემატური დახმარება. ოპერატიულად მოაგვარონ მათთვის საჭირბოროტო ყველა საკითხი. რა გასაკვირია, რომ ჩვენს დროში დეფიციტი გახდა გულის სითბო და ტკბილი სიტყვა. განსაკუთრებით კი მოხუცები „ითხოვენ“ ამას. ამიტომ, ვფიქრობთ, ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული თითოეული მუშაკის პირდაპირი მოვალეობა გამოძებნოს სხვადასხვა ფორმები, გზები, რათა ყველას გაუწოდოს დახმარების ხელი, ყველას მიმართ გამოიჩინოს სიყვარული.

ჩვენს ფონდს მეგობრული ურთიერთობა დამყარებული აქვს გერმანიის საქველმოქმედო ფირმა „კერთან“. მათ, შარშან მიწისძვრისგან დაზარალებული მოსახლეობისათვის ჩამოიტანეს 35 ტონა კვების პროდუქტები, რომლებიც გორის რაიონში თავადვე გადასცეს გაჭირვებულთ, ამჟამად ფირმისაგან მივიღეთ ცნობა, რომ თებერვლის პირველ რიცხვებში ჩვენი ფონდის მისამართით თვითმფრინავით აგზავნიან 250 ტონა ბავშვთა კვების პროდუქტებს და მშრალ რძეს. 500 ტონა მაკარონს გემით ჩამოიტანენ ბათუმში.

აღნიშნული პროდუქტები გა-

მიზნულია ჩვილი ბავშვებისათვის, საბავშვო სახლების, საავადმყოფოებისა და მოხუცთა პანსიონატებისათვის.

წლის დამლევს მარტოხელა ადამიანების დასახმარებლად შევიძინეთ 50 ათასი მანეთის დაკონსერვებული ხორცი და შესქელებული რძე, რომლებიც მიუხედავად თბილისში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა, მაინც დაურიგდათ 1600 მარტოხელა მოქალაქეებს, ხოლო რესპუბლიკის ექვს რაიონს წლის მანძილზე გამოყოფილი თანხების დამატებით გამოეყო მარტოხელათა დასახმარებლად ას-ასი მანეთი. მარტო დეკემბერში დახმარება გაეწია სამ ათასამდე ადამიანს.

ამასთანავე ფონდს მიღებული აქვს ინვალიდის ეტლები (ოთხასი), რომლებიც გათვალისწინებულია გადაეცეს დეკემბერ-იანვრის დღეებში ძმათა შორის ომის დროს დაზარალებულ ადამიანებს.

ფონდში დახმარებისათვის მოდიან დაღუპულ მეომართა ან შემთხვევით დაღუპულთა ოჯახის წევრები და ფონდიც შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ.

8580 კილოგრამი ძეხვი ბავშვებს

ამ დღეებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მზრუნველობით ჰუმანური დახმარება — 8580 კილოგრამი უცხოური ძეხვი გადაეცა რესპუბლიკის საბავშვო სახლების, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების, ავადმყოფ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებს.

მამია ჯოლია.

რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარი სპეციალისტი.

ბოლო ხანს რედაქციაში გვირეკავენ და გვწერენ ჩვენი მკითხველები, რომლებიც გამოთქვამენ გულისწყრომას და აღშფოთებას იმისა გამო, რომ ხელისმომწერები ხშირად გაზეთს ვერ იღებენ, რასაც იღებენ, ზოგჯერ ისე უხარისხოდ არის ნაბეჭდი, რომ ვერც წაიკითხავს კაცი. ზოგი გაზეთი გამოდის, ზოგიც არა, ხელმომწერს კი ველარ გაუგია ამის მიზეზი, არც იცის ვის მიმართოს, ვინ გასცემს პასუხს.

უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს რესპუბლიკაში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების აბსოლუტური უმრავლესობა ფაქტობრივად მზადდება და იბეჭდება ერთადერთ დიდ პოლიგრაფიულ საწარმოში — გამომცემლობა „სამშობლოში“. მკითხველთა ინტერესების და კანონიერი გულისტკივილის გათვალისწინებით ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა სთხოვა გამომცემლობა „სამშობლოს“ ხელმძღვანელობას. თუ რა გვითხრეს, ამას ქვემოთ გაეცნობით. მკითხველმა გაარჩიოს მტყუანიც და მართალიც.

როცა წადილი ძალას აღემატება

გაზეთების ბუმი და გამომცემლობის პრობლემები

ნოდარ ჯაველიძე,

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორი.

ახლახან რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ მიიღო დადგენილება პრესის დამოუკიდებლობის შესახებ, ხოლო დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა კანონი პრესის შესახებ.

კანონის ძირითადი მიზანი და მიმართულებაც დამოუკიდებელი, თავისუფალი პრესის დაფუძნებაა.

კანონის გამოსვლამდე რესპუბლიკაში ათეულობით ჟურნალ-გაზეთი იყო რეგისტრირებული. დღესაც, შესაბამისი ორგანიზაცია, კონკრეტულად, იუსტიციის სამინისტრო, რეგისტრაციაში ატარებს თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემას, თუ ისინი პრესის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

სხვაგვარად არც შეიძლება.

საგაზეთო ბუმი კი გრძელდება.

კანონში პრესის შესახებ არ არის მითითებული (და არც შეიძლება იყოს) ვინ უპატრონოს მას და ვინ დაბეჭდოს ეს ჟურნალ-გაზეთები. ცხადია, არც რეგისტრაციაში გატარება ნიშნავს იმას, რომ ყოველმა მათგანმა გზა გამომცემლობა „სამშობლოსაკენ“ იპოვოს.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ თავისი განსაზღვრული წარმადობა და ზღვრამდე მისული შესაძლებლობანი აქვს.

თუ ადრე ამ გამომცემლობაში ორმოცდაათამდე პერიოდული გამოცემა იბეჭდებოდა და ეს რაოდენობა აქ არსებული საწარმოო სიმძლავრეებისათვის ნორმალურ დატვირთვად ითვლებოდა, დღეს მარტო დედაქალაქში რეგისტრირებული ჟურნალ-გაზეთების რიცხვმა ასს გადააჭარბა.

ელემენტარული ლოგიკა აქ ღაღადებს: არ შეიძლება ადამიანს მოსთხოვო ორჯერ იმაზე მეტი, რის გაკეთებაც ძალუძს. მით უფრო, ადამიანის ხელით შექმნილი მანქანა-დანადგარების სიმძლავრე და წარმადობა იმთავითვე განსაზღვრული და ზუსტად გაანგარიშებულია.

თუ, ასეა, რა არის დაუჯერებელი იმაში, რომ გამომცემლობა „სამშობლომ“ ვერ უზრუნველყოს ესოდენ მოზღვავებული ჟურნალ-გაზეთების პრეტენზიებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება? მით უფრო მაშინ, როცა ამის ობიექტური მიზეზები არცთუ ძნელი შესამჩნევია.

ვილაპარაკოთ ფაქტებით.

ამჯერად გვერდი ავუაროთ საამწყობო საამქროს დეტალურ დახასიათებას, სადაც ისეთი მოძველებული ტექნიკა დგას, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მათ გამოყენებაზე, მეტი თუ არა, ალბათ, ათი წელი მაინც იქნება, რაც უარი თქვეს.

და მაინც, აქ ყველა ლინოტიპისა და დაზგისათვის მუშაობის გრაფიკი ამ ორიოდე წლის წინათ ჯერ კიდევ მაშინ განისაზღვრა და დადგინდა, როცა საუწყებო და თავისუფალი გაზეთების რეგისტრაცია დაიწყო და გამომცემლობის ძველმა ხელმძღვანელობამ ისინი ე. წ. სახელმწიფო გაზეთების გვერდით „დააბინავა“. როგორც იტყვიან, ახლა აქ ნემსიც კი არ ჩავარდება.

მთავარი სათქმელი მაინც საგაზეთო-ოფსეტურ საამქროზე გვაქვს, სადაც ძირითადად ექვსი ვებერთელა საბეჭდი მანქანა-დანადგარია და თითოეულის ღირებულება დღეს 2 მილიონ დოლარს აღწევს. ეს მანქანები ათი-თორმეტი წლის ხანდაზმულობისაა. მათი სიძველე ყოველდღიურად გვახსენებს თავს, როცა ფუჭდება ერთი ან მეორე მათგანი, ხოლო შეკეთებას ორი-სამი ან ოთხი საათი სჭირდება. ცხადია, დღეს ხელმისაწვდომი როდია მათი დეტალები და ნაწილები, ჩვენი ხელით კუსტარულად გამოჩარხული კი საიმედო არ არის. ამიტომ ყოველი მანქანის 16-18 საათით დატვირთვა (ეს დრო სჭირდება ჯერჯერობით ჩვენთან უკვე შემოკვეცილებული გაზეთების დაბეჭდვას) იქით მიგვაქანებს, რომ ერთი ან ორი წლის შემდეგ, შესაძლოა ეს ტექნიკა საერთოდ მწყობრიდან მთლიანად გამოვიდეს, ხოლო ახლის შესაძენად ამ მოკლე დროის მანძილზე მილიონობით დოლარის დაგროვება ვერ შევძლოთ.

ასე ექმნება საფრთხე ჩვენს პოლიგრაფიულ მრეწველობას, რაც პრესას რამდენიმე წლის მანძილზე მაინც არარსებობას უქადის.

ამიტომ სწორედ რომ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ ყველა რეგისტრირებული გაზეთის თხოვნა თუ მოთხოვნა — მაინცდამაინც გამომცემლობა „სამშობლოში“ დაიბეჭდოს.

ამ და სხვა ობიექტური არგუმენტების მოსმენა კი არავის სურს. საქმე ხშირად გაუგონარ სიჯიუტემდე მიდის.

ახალი წლიდან გამომცემლობას ახალი პრობლემები გაუჩნდა, რაც გარკვეულწილად ჩვენში შექმნილ ომის ვითარებასთან იყო დაკავშირებული. საგაზეთო კორპუსში, სადაც ძირითადად ღამით მიმდინარეობს საქმიანობა და უმეტესად ქალები მუშაობენ, თავი იჩინა შიშმა, რასაც არცთუ უსაფუძვლოდ მოსალოდნელი დივერსია და ტერორი იწვევდა. თუმცა, დროებითი მთავრობის ყურადღების შედეგად, საგაზეთო კორპუსში დაცვა გაძლიერდა, მაგრამ ამას ისიც დაერთო, რომ რესპუბლიკისათვის გაზის მიწოდების შეფერხების გამო, ამ უზარმაზარ შენობას გათბობა თითქმის შეუწყდა და მუშაობა შეუძლებელი გახდა. ამასთან, დაირღვა ტექნოლოგიური პროცესიც. თხევადი საღებავი გაიყინა და შრობის ხანგრძლივობა ერთისამად გაიზარდა.

ამ ვითარებაში, სამხედრო საბჭომ სწორად გაიგო ჩვენი გაჭირვება და ნება დაგვრთო დაგვებეჭდა მხოლოდ რამდენიმე გაზეთი.

მაგრამ ვერ გაგვიგო ზოგიერთი გაზეთის რედაქციამ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გაზეთ „რეზონანსის“ წარმომადგენლები და მაგიდაზე მუშტების ბრახუნით ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, რომ დღეს „რეზონანსის“ გამოსვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „დროების“ და „საქართველოს რესპუბლიკის“.

და ბოლოს, ასეთი დაჟინებული მოთხოვნით, ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე, გამოუშვეს თითო ნომერი და ხარჯი მაშინვე იმით გადაგვიხადეს, რომ მკითხველს „აცნობეს“ — ახალი წლიდან გამომცემლობა „სამშობლოს“ დრაკონის მადა აღეძრა, ხარჯებს აორკეცებს და ცდილობს გაზეთების ეკონომიკურ მოხრჩობას.

მათ სხვა გაზეთებმაც აუბეს მხარი.

აი, აქ კი ვალდებული ვართ მკითხველებს და დაინტერესებულ პირებს ზოგიერთი რამ ვაუწყოთ.

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ფული გაუფასურდა და ფასები ყველაფერზე ერთიანად თუ არა, ხუთმაგად მაინც გაიზარდა. და, რა გასაკვირია, რომ სახელშეკრულებო ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვის ხარჯები ნებისმიერ გამომცემლობაში ორმაგი კი არა ათმაგიც გახდეს.

რატომ?

ამის გაგებას გამომცემლობის ხელმძღვანელობასთან დავა და ჩხუბი კი არა, ყურადღებით მოსმენა და გაგება უნდა.

შარშან ზაფხულამდე გამომცემლობა „სამშობლოს“ ტონა ქაღალდს 1300 მანეთად აწვდიდნენ (ორიოდე წლის წინათ მისი ფასი 300 მანეთს არ აღემატებოდა). ზაფხულში მისი მოწოდება საერთოდ შეწყდა (ამ ფუნქციის შესრულებაზე მთავარმა მომწოდებელმა — სოლიკამსკის ქაღალდკომბინატმა, ცელულოზის ნაკლებობის საბაბით, საერთოდ უარი გამოგვიცხადა), ბირჟაზე კი ქაღალდის ღირებულება 20 ათას მანეთზე მეტი გახდა.

აუცილებელია საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ისრაელი ტონა ქაღალდს ფინეთიდან 300 დოლარად იძენს, ხოლო ბულგარეთმა იგივე სამსახური ჩვენს გამომცემლობას 500 დოლარად შემოსთავაზა.

ხელსაყრელი ფასის ძიებამ კარელიაში, კონდაპოგის ქაღალდის კომბინატში მიგვიყვანა.

მოლაპარაკების წინაპირობად კომბინატის მესვეურებმა ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემა წამოგვიყენეს: გადაგვეწყვიტა მათთვის 460 ათასი ტონა ქვანახშირის, 170 ათასი ტონა მაზუთის და 1.200 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის საკითხი, რაც საკმარისია მთელ წელს კომბინატის შეუფერხებლად მუშაობისათვის.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მაშინდელ მესვეურებთან სილაევთან, ლიაკოვთან და ვოლსკისთან გამომცემლობის ხელმძღვანელების პირადი კონტაქტების წყალობით, ეს საკითხიც მოგვარდა, მაგრამ ქაღალდის კომბინატის მესვეურებს კილოვატსაათი ენერგიის ღირებულება 13 კაპიკი ეძვირათ და მისი 8 კაპიკამდე დაყვანის წინადადება მოგვცეს. როცა ესეც გადაწყდა და ამით კომბინატი საბოლოო ანგარიშით, ათეულობით მილიონი მანეთის ეკონომია მიიღო, ჩვენს წინაშე ახალი დაბრკოლება აღიმართა. ქაღალდის მოწოდებაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად და მისი შეუფერხებლად მოწოდებისათვის საჭირო გახდა რუსეთის ახლანდელი პირველი ვიცე-პრემიერის გ. ბურბულისის ხელმოწერით გაცემული ლიცენზია. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა თ. სიგუამ, რომელმაც აღგვიძრა შუამდგომლობა გ. ბურბულისის წინაშე ჩვენი გამომცემლობისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდის ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

რუსეთის მთავრობამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

ვფიქრობთ, ქაღალდის ესოდენ ძნელად მოპოვების ეპოპეა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ იგი ყველაზე მცირედ (1 ტონა — 10000 მანეთად) რომ შევაფასოთ, მარტო საქართველოს უპირველეს გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“ წლიურად დაგეგმილი 260 ნომრისათვის 26 მილიონი მანეთის ქაღალდი მაინც სჭირდება (გასულ წელს იგი 3,5 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა), ხოლო ადვილი გასაგებია (გამომცემლობის გასაჭირი და ზარალი, თუ წარმოვიდგენთ სხვა პოპულარული გაზეთების „თბილისის“, „სვობოდნაია გრუზიას“, „ახალგაზრდა ივერიელის“, „სოფლის ცხოვრების“, „ვეჩერნი ტბილისის“ და სხვათა პერიოდულობას და ამის შესაბამისად ქაღალდზე მათ მოთხოვნილებას.

ქაღალდს ჩვენ თვითონ შევიძენთ, გვეტყვიან სახელშეკრულებო ჟურნალ-გაზეთების მუშაკები.

კეთილი, მაგრამ საუბარი მარტო ქაღალდს არ ეხება.

ამ თვენახევრის წინათ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ტორჟოკის სასტამბო საღებავების ქარხანამ შავ საღებავში შარშანდელთან შედარებით მხოლოდ ათი პროცენტით მეტი საფასური მოგვთხოვა. სასწრაფოდ გავაფორმეთ ხელშეკრულება და მაშინვე აღნიშნული ქარხნის ანგარიშში გადავრიცხეთ ერთი კვარტლისათვის საკმარისი შავი საღებავის ღირებულება — 327 ათასი მანეთი. ათიოდე დღის წინ კი მივიღეთ შეტყობინება, რომ პირობა შეიცვალა და თუ გვსურს საჭირო რაოდენობის საღებავი მოგვაწოდონ, უნდა გადავრიცხოთ კვარტალში არა აღნიშნული თანხა, არამედ 2. 100.000 მანეთი, გამოდის, რომ წელიწადში ახლა მარტო შავი საღებავისათვის საჭიროა არა უკვე ადრე შეთანხმებული 1308 ათასი, არამედ 8400000 მანეთი.

არაფერს ვამბობთ ფერად საღებავებზე.

ნაბეჭდი პროდუქცია რომ ხარისხიანი იყოს (რისთვისაც ხშირად გვაკრიტიკებენ ხოლმე), საბეჭდ მანქანებზე საჭიროა ხშირად იცვლებოდეს რეზინის ე. წ. „დეკელები“, რომლებსაც ყოფილ საბჭოთა კავშირში უფის შესაბამისი ქარხანა ამზადებს. და აი, მიმდინარე წელს რომ საკმარისი რაოდენობის დეკელები მიგვეღო, ქარხანამ მისი დამზადებისათვის საზღვარგარეთიდან მხოლოდ საჭირო ქსოვილის მისაღებად მოგვთხოვა 17 ათასი დოლარი ან მანეთებად გადაყვანილი მისი კურსი, რაც 2 მილიონ მანეთს აღემატება.

ახლახან გაიზარდა ელექტროენერგიის ფასი. თითოეული კილოვატსაათი 13 კაპიკის ნაცვლად 54 კაპიკი გახდა. ჩვენი მანქანა-დანადგარები კი წელიწადში მილიონობით კილოვატსაათ ენერგიას ნთქავენ.

და კიდევ ერთი მაგალითი. ყველა ოფსეტურ მანქანას სჭირდება მაუდის საგანგებო საფენი, ურომლისოდაც ბეჭდვა წარმოუდგენელია. შარშან 1 მეტრში ვიხდიდით 16 მანეთს, წელს 1 მეტრი მაუდის საფასური 1237 მანეთს აღწევს.

რაც ზემოთ ვილაპარაკეთ, შეიძლება ითქვას, წვრილმანია, რადგან მაღალხარისხოვანი ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვებისათვის საგამომცემლო საქმეს ემსახურება ათასზე მეტი კომპონენტი. თითოეულ მათგანს უშვებს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში განლაგებული ფაბრიკა-ქარხნები და ყველას ისეთივე მადა აღეძრის, როგორიც ქაღალდისა და საღებავების საწარმოთა მაგალითებით მოგახსენეთ.

გვიკიჟინებენ, თითქოს ანგარიშს არ ვუწევთ სახელშეკრულებო გაზეთების მდგომარეობას, ვაწესებთ გადასახადის მაღალ პროცენტს, რაც „სოიუზპეჩატის“ ბეგარასთან ერთად (38 პროცენტი) დახურვას და გაკოტრებას უქადის მათ.

სწორედ ამ მითქმა-მოთქმის აღსაკვეთად, წელს უარი ვთქვით პროცენტულ გადასახადზე. ჩვენ თითოეულ ჟურნალს თუ გაზეთს, ხელშეკრულების დადების დროს დავუანგარიშებთ, რა გვიჯდება მათი გამოცემა (მუშახელის საქმიანობის, მისი ახლახან გაორმაგებული ხელფასის და მანქანა-დანადგარების ამორტიზაციის გათვალისწინებით), და რა საფასურს დაადებს გაზეთს მისი მფლობელი, ეს ჩვენი საქმე აღარ არის.

ვფიქრობთ, ეს გააჯანსაღებს გამომცემლობა „სამშობლოსა“ და პრესას შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს.

აი, „სოიუზპეჩატთან“ კი გამომცემლობა „სამშობლოსაც“ აქვს თავისი პრეტენზიები, რაც ზემდგომი ორგანოების ყურადღებისა და მსჯელობის საგანიც უნდა გახდეს.

რესპუბლიკის „სოიუზპეჩატის“ საქმიანობის დასახატავად მარტო შარშანდელი მაგალითიც საკმარისი იქნება. შარშან სამმართველომ თვითდინებას მიანდო მასზე დაკისრებული ხელმოწერის დიდმნიშვნელოვანი კამპანია და დაკმაყოფილდა იმით, რომ მხოლოდ ქვითარს თუ გამოუწერდა „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში თავისი ნებით მისულ გაზეთის გამოწერის მსურველებს, მაშინ როდესაც მას უნდა ჰქონდეს რწმუნებულებისა და გამავრცელებლების ფართო ქსელი. პრესის გავრცელების სამმართველოს არ/უზრუნია საგანგებო რეკლამების შექმნასა და გამოყენებაზე. ამ საქმეს ნაწილობრივ აგვარებდნენ მხოლოდ რედაქციები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ თავიანთი ჟურნალ-გაზეთების გავრცელებით; „სოიუზპეჩატს“ კი გაწეული მცირეოდენი სამსახურისათვის მილიონები მიჰქონდა, კუთვნილ ფულს კი მაშინ გვირიცხავდა, როცა სურდა.

პრესის გავრცელების რესპუბლიკური სამმართველოს უგეგმო და უმიზნო მუშაობაზე ამჟამად მეტყველებს ისიც, რომ იმ ვითარებაში, როცა რუსეთის იმპერია დიდი ხანია უკვე დაიშალა, შეიმუშავეს ჟურნალ-გაზეთების გავრცელების ისეთი სქემა, რომელშიც საქართველოდან შევიდა მხოლოდ რვა გაზეთი, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირიდან — ცხრამეტი. ამიტომ, წლის ბოლოსათვის, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეჯამებული რესპუბლიკური პრესის გავრცელების მონაცემები, ხოლო როცა კავშირგაბმულობის სამინისტროში გაჩენილი ხანძრის დროს ეს საბუთებიც დაიწვა, თვენახევრის მანძილზე ვერაფრით შეძლეს რაიონებიდან მასალების გამოთხოვა და მათი შეჯამება. გამომცემლობა იძულებული გახდა „სოიუზპეჩატის“ მიერ გადმოცემული წინა წლის ხელმოწერის მიხედვით გამოეცა ჟურნალ-გაზეთები, რაც უმეტესად ადრესატამდე ვერ აღწევდა და ასეულობით ტონა ქაღალდის ზარალთან იყო დაკავშირებული.

ახლახან „სოიუზპეჩატმა“ მიაღწია დიდი ხნის საწადელს და რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის თანხმობით (ისე, რომ გამომცემლობას არავინ შეთანხმებია), პრესაზე ხელმოწერის ფუნქცია მიანდო საფოსტო განყოფილებებს, რომელთაც ისედაც უამრავი საქმე აქვთ. პრესის გავრცელების რესპუბლიკური სამმართველო კი თავად თავისუფალ იჯარაზე გადასასვლელად ილტვის.

ეს იმას ნიშნავს — გაზეთის ჯიხურებში გაიყიდება ყველაფერი — დაწყებული მახათით — დამთავრებული უცხოური სიგარეტით და ლუდით. პრესის რეალიზაცია კი მეორე პლანზე გადაიწევა, რადგან გამყიდველი არაფერს აგებს — „სოიუზპეჩატი“ თვითნებურად და ცალმხრივად ახდენს „არარეალიზებული“ გაზეთების ჩამოწერას და „ზარალის“ 50 პროცენტს ჯარიმის სახით აკისრებს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობას, რაც ასიათასობით მანეთს შეადგენს.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კონტრზომების მიღების სურვილიც გვიჩნდება და სრული უფლება გვაქვს დავსვათ საკითხი: ჩვენს პროდუქციას ჩვენვე გავავრცელებთ (ცხადია, საფოსტო განყოფილებებთან ცალსახა ხელშეკრულებით — მხოლოდ მათი დამტარებლების გამოყენებით).

ამავე დროს, პრესის გავრცელების სამმართველომ, რომელიც ფორმალურად იყო კავშირგაბმულობის სამინისტროს ბალანსზე და მხოლოდ გამომცემლობა „სამშობლოს“ სახსრებით არსებობდა, გამომცემლობას უნდა უსასყიდლოდ გადასცეს თავისი ჯიხურებისა და ხელმოსაწერი ოფისების გარკვეული რაოდენობა, ამჟამად, უკვე საწვრილმანო სავაჭროდ გამზადებული ქსელიდან.

აი, ეს იქნება საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა.

და ისევ იმის შესახებ — ძალუძს თუ არა გამომცემლობა „სამშობლოს“ გამოსცეს ყველა რეგისტრირებული ჟურნალ-გაზეთი.

ცხადია, ვერც დროებითი მთავრობის განკარგულებაში, ვერც პრესის კანონში ვერ იქნებოდა მითითებული და ასახული, სად დაიბეჭდოს თითოეული მათგანი.

ჩვენ უკვე მოგახსენეთ იმ სიძნელეების შესახებ, რომელთა წინაშე დგას დღეს გამომცემლობა „სამშობლო“. რა თქმა უნდა, ვცდილობთ მისი სიმძლავრეების გაზრდას და უკვე გვაქვს მოლაპარაკება გერმანულ ფირმა „მან პლამაგთან“ ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე. ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში ჩვენი შესაძლებლობანიც ერთი-ორად გაიზრდება.

იქამდე კი... ჩვენთვის ცნობილია, რომ თბილისში და მის შემოგარენში რამდენიმე სტამბა დაარსდა, რომლებიც ამერიკული თუ გერმანული საბეჭდი მანქანებით არცთუ ურიგოდ არიან აღჭურვილნი.

...ან იქნებ ჯობდეს, რამდენიმე თავისუფალმა გაზეთმა იფიქროს ერთობლივი საწარმოს შექმნაზე..

ასეთი ვარიანტი ბევრია, გამომცემლობა „სამშობლო“ კი — ერთი.



ვაჟა ნიკოლაიშვილის ფოტო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ცნობილი ფიზიკოსის აზრით

ამერიკის ცნობილმა ფიზიკოსმა მეცნიერმა ვიტალი გინზბურგმა დაადასტურა, რომ მისი მონაცემებით, უკვე იყო ცდები მეცნიერთა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მკვლევარები ბირთვული იარაღის შექმნის საზღვარგარეთულ პროგრამებში მონაწილეობისათვის. ეს მან განაცხადა ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა პოპულარულ გერმანულ ყოველკვირეულ „ბუნტში". მაგრამ დღემდე რუსეთის უშიშროების ორგანოები მაინც აბერხებდნენ გადაპარტთ არხები, რომლებითაც ბირთვული საიდუმლოებებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების ტექნოლოგიების მატარებლები შეძლებდნენ საზღვარგარეთ გამგზავრებას.

გინზბურგმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გაფართოვდეს თანამეგობრობის სახელმწიფო მეცნიერების თანამშრომლობა დასავლელ კოლეგებთან ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში, ამავე დროს მან მოითხოვა მეცნიერული კვლევის წარმოების მთელი რიგი შეკვეთები გადასცენ რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების სპეციალისტებს. გინზბურგის აზრით, უფრო მიზანშეწონილია ფინანსური სახსრები, რომლებიც დასავლეთს შეუძლია გამოყოს ამგვარი პროგრამების რეალიზაციისათვის, გამოიყენონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე. „იმ ხუთი ათასი დოლარით, რომელსაც გადაუხდიან მეცნიერს საზღვარგარეთ, აქ შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს სამუშაო ადგილები 30 მკვლევარისათვის", — თქვა მან.

დანიის დედოფალი ეწვევა ბალტიისპირეთს

დანიის დედოფალი მარგრეტე მეორე ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხელმძღვანელობის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩავა ბალტიისპირა სახელმწიფოებში 1992 წლის ივლისის მიწურულს. ამას იუწყება დღეს დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოსვლის შემდეგ ეს მათთვის ესოდენ მაღალი დონის პირველი ვიზიტია, აღნიშნავს დანიის საინფორმაციო სააგენტო რიტსაუს ბიურო. დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი უფე ელემან-იენსენი იყო პირველი დასავლეთის ქვეყნების საგარეოპოლიტიკური უწყებათა მეთაურთაგან, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ამ სახელმწიფოებს. საიდუმლო იყო აგრეთვე პირველი ქვეყანა, რომელმაც თავისი დიპლომატიური მისიები დააარსა რიგაში, ტალინსა და ვილნიუსში.

რამდენიმე სტრიქონით

ბუშის მინსკში შეხვედრამდე თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოების ხელმძღვანელები. შეხვედრისათვის საქართველომ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა. შეხვედრამ დროის გამოყოფა თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების პრობლემას, განსაზღვრავენ თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების რაოდენობას. ამერიკის თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების [illegible] ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მინსკის შეხვედრის თაობაზე აღნიშნა, რომ თანამეგობრობა ძნელი იქნება, მაგრამ იგი უალტერნატივო ხასიათისაა. შეგახსენებთ, რომ რუსეთი ერთიანი არმიის მომხრეა, ზოგიერთი რესპუბლიკა უპირატესობას მეთაურობით დამოუკიდებელი არმიების შექმნას ანიჭებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი თურქმენეთის [illegible]. იგი ინახულებს ჩელიაბინსკისა და ეკატერინბურგის ბირთვულ ქარხნებს, რომლებიც ამჟამად ბირთვული სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებას.

ამერიკა გამოცხადებული იყო, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს შეხვდებიან, რათა ყარაბაღის პრობლემა მოაწესრიგონ. ახლა შეხვედრის მოწყობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამაზე აზერბაიჯანის თანხმობა არ გამოუთქვამს. მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მუხაბაყოვმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის შუამავლობის გარეშე უკეთ მორიგდებიან.

ბონში კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ყოფილ კავშირში ეროვნულ-ეთნიკური პრობლემები არსებობს. მისი აზრით უკანონებელი წლების 175 ეთნიკურ კონფლიქტში 10 ათასამდე ადამიანი დაიღუპა... შევარდნაძის ვგინით არსებული ეთნოკონფლიქტების შემსწავლელი ცენტრი უმიზეზოდ უყვლის ხაირებს შეისწავლოს ყარაბაღის პრობლემა. შემდეგ, როგორც შევარდნაძემ აღნიშნა, უნდა გადაწყდეს სამხრეთ ოსეთის, რუსეთის გერმანელებისა და უკრაინა-რუსეთის პრობლემები.

შეერთებულ შტატებში ვიზიტად მყოფმა თურქეთის პრემიერმა სულეიმან დემირელმა მოუწოდა ამერიკელ ბიზნესმენებს დაეხმარონ შუა აზიის რესპუბლიკებს, შექმნან ერთობლივი საწარმოები, რაც ამ მხარის ეკონომიკურ როლვავს შეაჩერებს.

ისლამის ფუნდამენტალისტები ალჟირში აპირებენ საპროტესტო მარშის მოწყობას, რომელიც ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის შემოღებისა და ფუნდამენტალისტების საქმიანობის შეჩერების წინააღმდეგ არის მიმართული.

ხორვატიის შემადგენლობაში მყოფი სერბებით დასახლებული კრაინას ოლქის ხელმძღვანელი მილან ბაბიჩი წინააღმდეგია გაეროს სპეციალური დანიშნულების ჯარების ხორვატიაში განლაგებისა. მისი აზრით, გაეროს ჯარების განლაგების შემთხვევაში სერბებისა და ხორვატების შეტაკებების რიცხვი გაიზარდა.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვატანაბემ სურვილი გამოთქვა, რომ გაეროს დონეზე ჩატარდეს თათბირი-კონსულტაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის დახმარების კოორდინაციისათვის და ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული ბირთვული პოტენციალის ლიკვიდაციისათვის..

მძიმე წონის მსოფლიოს ექსჩემპიონს კრივში მაიკლ ტაისონს 60 წელი ციხე ელოდება. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც დასრულდა სასამართლო პროცესი. ტაისონს ბრალად ედება 18 წლის ამერიკელ შავკანიან ქალბატონთა კონკურსში გამარჯვებული ქალიშვილის გაუპატიურება. საბოლოო განაჩენს ფედერალური სასამართლო 6 მარტს გამოაცხადებს, მანამდე ტაისონი თავისუფალია. შეგახსენებთ, რომ თანამედროვეობის გამოჩენილი მოკრივე მაიკლ ტაისონი ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში 1986 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. 1990 წელს მან ეს ტიტული დაკარგა. მომდევნო წლის შემოდგომაზე კი იგი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად უნდა შეხვედროდა ევანდერ ჰოლიფილდს.

უცხოეთის ამბები

მსოფლიოს სააგენტოები გვატყობინებენ

ძნელი არჩევანი

თეირანში ირანის რესპუბლიკაში ისლამის რევოლუციის წლისთავი აღინიშნა. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ [illegible] — აიათოლა ხომეინის იდეები [illegible] ირანი სამაგალითო [illegible] გახდება. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა ირანის გავლენის ზრდას მთელ მსოფლიოში. [illegible] ხომეინის [illegible] დიდი როლი ირანის ისტორიაში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. შიიტური ირანის რევოლუციის გავლენით გაძლიერდა ისლამის ფუნდამენტური იდეები დაშლილი საბჭოთა კავშირის შუა აზიის რესპუბლიკებში, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, ლიბანში, ხოლო ალჟირში ფუნდამენტალისტები მალე ახლოს იყვნენ სრული გამარჯვებასთან. თავის დროზე ხომეინი აცხადებდა, ადრე თუ გვიან მთელ მსოფლიოში ისლამი გაიმარჯვებსო. ახლა ცხადი ხდება, რომ თანდათან მსოფლიო პოლიტიკას წარმართავს შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობა-დაპირისპირება მუსლიმანურ ქვეყნებთან.

შარშან დეკემბერში ალჟირში მოწყობილი არჩევნების პირველ ტურში ხსნის ისლამური ფრონტის პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რის შედეგადაც მას პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა ექნებოდა. საზეზე იყო ფუნდამენტალისტების მიერ კონსტიტუციური წესით ხელისუფლების სათავეში მოსვლა და ირანის მსგავსი სახელმწიფოს დაარსება. ფუნდამენტალისტები თავიანთი საარჩევნო საქმიანობის დროს უარყოფდნენ დასავლეთის ფასეულობებს, ცხოვრების ევროპულ წესს და ტოტალიზაციისაკენ მიისწრაფოდნენ. შექმნილ სიტუაციაში ფრანგული ორიენტაციის პრეზიდენტი შადლი ბენჯედიდი გადადგა და ძალაუფლება მოხმარეს ბუდიაფის ხელმძღვანელობით [illegible] სამხედრო საბჭოს [illegible]. ფუნდამენტალისტურ პარტია აკრძალა და მისი [illegible] ახდულ რიგამ ზაკამი [illegible]. ეს უდავოდ ანტიკონსტიტუციური აქტი დემოკრატიის [illegible] გამართლებული. ამის შემდეგ კი ალჟირში სოციალური [illegible] ვლინდა დაიწყო.

ალჟირის ამბებში ირანის გავლენა [illegible], ძლიერდება ურთიერთობა აზერბაიჯანთანაც და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ირანში სხვადასხვა [illegible] 12-32 მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ამავე დროს აზერბაიჯანელთა უმრავლესობა სუნიტია და ისტორიულად თურქეთისაკენ იყურება,

მართალია, ამ დღეებში ირანმა ცნო სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს მას სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში აზერბაიჯანელთა მხარე დაიჭიროს. ზოგიერთი ცნობით, ყარაბაღში აზერბაიჯანელთა რიგებში 150-მდე ირანიდან ჩამოსული ე. წ. ისლამის რევოლუციის დამცველი იბრძვის, თუმცა ეს შეიძლება კერძო შემთხვევაც იყოს.

ირანული გაზეთი „თეირან ტაიმსი" წერს, ისლამური ფასეულობების აღორძინებისათვის საჭიროა ყოფილი საბჭოთა კავშირის შუა აზიის რესპუბლიკების მიმართ უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება. ამავე დროს გაზეთი აღნიშნავს, რომ კასპიის ზღვა იქცევს „ისლამურ ზღვად" როგორც რამდენიმე ასეული წლის წინათ იყო. თეირანში გამოცხადებულია პროგრამა, თუ როგორ შეცვალონ ბაქოში მომუშავე რუსი ნავთობის მუშაკები ირანელი სპეციალისტებით. ირანი საბჭოთა იარაღსა და კერძოდ ყაზახეთის ბირთვულ პოტენციალსაც უმიზნებს.

ახლახან გამოცხადდა, რომ უზბეკეთმა, აზერბაიჯანმა და თურქმენეთმა გადაწყვიტეს თურქეთთან, ირანთან და პაკისტანთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაერთიანდნენ. მათ მალე ტაჯიკეთი და ავღანეთიც შეუერთდა. ეს საკითხები 16-17 თებერვალს თეირანში გადაწყდება და დაარსდება ბანკი 42 მილიარდი დოლარის კაპიტალით. იაპონური გაზეთის „ტოკიო სიმბუნის" აზრით, ასეთი პროცესები დასავლეთ აზიაში გამოიწვევს უდიდესი მუსლიმანური ბლოკის შექმნას.

ირანის გააქტიურება შეერთებული შტატების დიდ შეშფოთებას იწვევს. უკვე ნათელი ხდება, რომ ვაშინგტონი გორბაჩოვის გაჭიანურებული ორჭოფობის გამო, შუა აზიის რესპუბლიკებში გავლენის მოპოვების ბრძოლაში შეფერხდა. ახლა დაუღალავი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ცდილობს ამ ხარვეზის აღმოფხვრას.

ბოლო პერიოდში იგი უკვე მესამედ ეწვია ყოფილ საბჭოთა კავშირს. ამჯერად ბეიკერი მოლდოვეთიდან სომხეთში ჩავიდა, ადგილზე შეისწავლა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მიზეზები და ბაქოში გაემგზავრა, საიდანაც შუა აზიის რესპუბლიკებს ეწვია. ბეიკერის ვიზიტის მიზანი ერთია — ამ რეგიონში შეანელოს ირანის გავლენა.

შუა აზიის რეგიონზე გავლენას მსოფლიოს პოლიტიკური პროცესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ პოლიტიკური ვაკუუმი იქმნება. ახლა საკითხი ასე დგას: შუა აზიის რესპუბლიკები ან საერთო ევროპულ პროცესებში მოაქციონ ან ისლამის ფუნდამენტალისტებს დაუთმონ. თუ მეორე ვარიანტი განხორციელდა, ეს რეგიონი საერთო დესტაბილიზაციის წყაროდ იქცევა, მით უმეტეს, რომ ყაზახეთი ბირთვული სახელმწიფოა. ასეთ ვითარებაში, როგორც ჩანს, ვაშინგტონი მთავარ იმედს ნატოს სამხედრო ფლანგის ბურჯზე, თურქეთზე ამყარებს.

ამ დღეებში შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თურქეთის პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელს შეხვდა. მათ განიხილეს ამერიკა-თურქეთის თანამშრომლობა ამიერკავკასიისა და შუა აზიის სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარებაში. შეხვედრის შემდეგ მოწყობილ ბრიფინგზე ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ თურქეთი შეიძლებოდა მოდელი გამხდარიყო შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. თურქეთი დემოკრატიული სახელმწიფოა, რომელსაც ჰყავს მაღალი წრიდან გამოსული ხელისუფლება და აქვს საბაზრო ეკონომიკა. ჩვენ გვინდა, რომ შუა აზიის რესპუბლიკების განვითარება ასეთი მიმართულებით წავიდეს". ამას გარდა ვაშინგტონი ფიქრობს შუა აზიის რესპუბლიკების „გაკეთილშობილებისათვის" ბრძოლაში ეგვიპტე და საუდის არაბეთიც ჩართოს.

ის გარემოება, რომ ვაშინგტონმა ანკარაზე გააკეთა აქცენტი, ამერიკელ ექსპერტებს სრულიადაც არ აწყნარებს. მათთვის თურქეთის გავლენის ზრდაც არ არის დამამშვიდებელი. უკვე ლაპარაკია სუპერთურქული სახელმწიფოს შექმნაზე, რომელიც მოკლე დროში უძლიერეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ერთეულად ჩამოყალიბდება, იმის გამო, რომ შუა აზიაში მცხოვრები ხალხები, ტაჯიკების გამოკლებით, თურქული წარმოშობისა არიან, პანთურქის ოცნება—თურანის, ანუ ტურქული ეთნოსის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა, ძალიან უახლოვდება რეალობას.

მოვლენების განვითარება გვაფიქრებინებს, რომ თანდათან წინა პლანზე წამოიწევს ირან-თურქეთის ისტორიული წინააღმდეგობა. კვლავ დღის წესრიგში დადგება ამიერკავკასიის პლატფორმის საკითხი. ირანი, თურქეთი და რუსეთი ის ქვეყნებია, რომელთა გარშემოც კვლავ მოუწევთ დიპლომატიურ მანევრების განხორციელება ქართველ დიპლომატებს, რომელთა საქმიანობა თითქოს მეფე ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ შეწყდა.

ირანის გააქტიურება შეერთებული შტატების დიდ შეშფოთებას იწვევს

ზურაბ ხიხარულიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის"
პოლიტიკური მიმომხილველი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ერთი განმარტება

ღია წერილი ბატონ თემურ ჭიჭიას

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" ამა წლის 21 იანვარს გამოაქვეყნა „ქართველი მწერლების მიმართვა ერისადმი", რომლის შესახებაც თქვენ მსჯელობთ იმავე გაზეთის 28 იანვრის ნომერში.

როგორც მოგეხსენებათ, ასეთი ყაიდის მიმართვა არახალია, ჩვეულია, რადგან ასეთ მიმართვას, ჩვეულებრივ, წერდა და წერს ერთი ან დიდი-დიდი, ორი-სამი პიროვნება, და არამთელი ქართული მწერლობა, რომლის ცოცხალი მაგალითიც ხსენებული მიმართვა გახლავთ, სადაც, კერძოდ, ვკითხულობთ:

„შინაგან კონკლავში აყოლილი პარტიები ვერა და ვერ შეთანხმებულან, ვინ წინ იდგეს, ვინ უკან, სამშობლო კი, დედასამშობლო, ვის საკეთილდღეოდაც ყველა ვარსებობთ, ხელიდან გვეცლება!

სადა ხარ შენ, ბრძენო, სამართლიანო, მრავალჭირგამოვლილო, ღვთისმოსავო ქართველო ხალხო? ვის პარტიულ დოგმებს აჰყოლიხარ! ვის დუდუკზე ცეკვავ?"

ბატონო თემურ, ღვთისა და კაცის წინაშე მითქვამს, როგორც თქვენ, მეც, ერთ-ერთმა რიგითმა მწერალმა, ამ მიმართვის არსებობა გამოქვეყნების შემდეგ გავიგე. ამით ამის თქმა მინდა, ჩემთვის რომ ეთხოვათ, ასეთი ხასიათის მიმართვაზე ხელს არ მოვაწერდი. და აი, რატომ:

საქართველომ ორგზის დაალწია თავი აუტანელ ერთპარტიულობას: კომუნისტების დიქტატურას და „მრგვალი მაგიდის" დიქტატურას, გაერთპარტიულებისკენ მიბრუნებამ დაატრიალა ეს დიდი ტრაგედია. „მრგვალმა მაგიდამ" არ ცნო არც ერთი წამყვანი პოლიტიკური პარტია და მისი წესდება. ყველას მოეხსენება, აგრეთვე რომ, თუ არა 2 სექტემბერი, თუ არა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაუცხრომელი ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ. მარტოოდენ ერთმა მაღალმა ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა დანაშაულებრივი ბლოკის ერთპიროვნული მმართველობა საქართველოში. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში თავისი ღვაწლი მიუძღვით სხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებებს, სტუდენტობას, აგრეთვე სხვებთან ერთად იმ მწერლებსაც, რომლებმაც ასე მოუზომავი სიტყვით მოიხსენიეს ამჯერად პოლიტიკური პარტიები. მოუზომავი სიტყვა კი იმან განაპირობა, რომ მწერლები, როგორც თქვენც ბრძანებთ, ბატონო თემურ, ბოლოს და ბოლოს ისევ მწერლები არიან და არა პოლიტიკოსები. არც ის ამბავი უნდა დავივიწყოთ, რომ მწერლობა ჩვენი სულიერების გამომხატველი უფროა, ვიდრე სოციალური მდგომარეობისა. შოთას პოემამ რა არ გამოიარა, როგორი პოლიტიკური ვითარებები და კატაკლიზმები, მაგრამ დღევანდელ ქართველთათვის ისევე მახლობელი და გასაგებია, როგორც თავისი საუკუნის მკითხველისთვის. მწერლობა ბოლო პლაცდარმია, რომლის დატოვების შემდეგ ერი წყვეტს არსებობას. რა ხაზგასასმელია, მაგრამ, პირადად მე, არასოდეს ვყოფილვარ კომუნისტური პარტიის წევრი, და არც მომავალში ვაპირებ პარტიის წევრობას. მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყოველთვის დავუჭერ მხარს იმ პარტიას, რომელიც იბრძოლებს საქართველოს უკეთესი მომავლისთვის, რამეთუ საქართველო, როგორც ამბობს გალაკტიონი: „უკეთესის ბედისაა ღირსი".

ბატონო თემურ, თქვენ გვეუბნებით:

„რატომ გვავიწყდება, რომ ჩვენ „გაპოლიტიკოსებულმა მწერალმა" დაგვაქცია და არა სხვა ვინმემ".

ანალოგიას თავის ქებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ჩემს ამასწინანდელ წერილში (გაზეთი „საქართველო", 24 იანვარი) ვწერდი:

„როგორც ვხედავ, პოლიტიკა მწერლის საქმე არ არის. ასევე არ იყო პოლიტიკოსი ყოფილი პრეზიდენტი, ბატონ ზვიად გამსახურდიას ნახელსაქმარიდან, ჩემი აზრით, ყველაზე ფასეულია მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა".

და ერთიც:

ბატონო თემურ, მუდამ ვადევნებდი თვალს თქვენს პოლიტიკურ პუბლიკაციებს, პოლემიკას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულს. თქვენი ამ ბოლო წერილის შინაარსიც ჩემთვის მახლობელია და მისაღები. მხარს ვუჭერ თქვენს მიერ შემოთავაზებულ მომავალი არჩევნების კონცეფციას და ველოდები შეპირებული დებულების გამოქვეყნებას.

პატივისცემით

მურმან ჯგუბურია.

საფიქრო

სხვა გაზეთებიდან

№ 1, 1992 წ.

როგორ დადის ადამიანი

ადამიანი დადის ფეხებით.

ჰოდა, არც არაფერია გასაკვირი ან საოცარი.

თუმცა, ყველა როდი ფიქრობს ასე. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი მაღვიძარასავით დადის, რადგან მისი ცხოვრების რიტმი ციკლურია და დამოკიდებულია ბუნების ათასგვარ მოვლენაზე, მათ შორის — მზის მოძრაობაზე, მთვარის ფაზებზე...

უფრო მეტიც: ქრონალური ბიოლოგიის მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ყველა ორგანო — ტვინიც, მთელი სხეულიც და სულიც კი, დაბადებიდან სიკვდილამდე „სამტაქტიან ციკლს" ემორჩილება. ყოველდღე ფიზიკურ ძალთა სამჯერადი მიმოქცევა ხდება, ადამიანი დღეში სამჯერ გრძნობს დაღლას... ამდენად, გვინდა თუ არ გვინდა, ყოველი ჩვენთაგანი თვლა— „ერთი, ორი, სამის" გარემოცვაში ვიმყოფებით.

ამ საინტერესო აღმოჩენას, თავისთავად პრაქტიკული რეკომენდაციები მოჰყვა, რომელიც დასავლეთელმა ქრონობიოლოგებმა შეიმუშავეს.

ეს რეკომენდაციები გერმანულ ჟურნალ „შტერნში" გამოქვეყნდა და სხახლის მოყვარულთა საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია.

მოდით, ჩვენც ვცადოთ, საკუთარ შინაგან „მაღვიძარას" ფეხდაფეხ მივყვეთ, მით უმეტეს, რომ მრავალ სიკეთეს გვპირდებიან მკვლევარები: შინაგან გაწონასწორებას, ნერვული სტრესებისაგან განმუხტვას, დაუძაბავ მობილიზებას, შრომის ნაყოფიერებას და რაც მთავარია, საუკეთესო გუნება-განწყობას...

მერედა, როგორ გვპირდება ჩვენ ახლა ყოველივე ეს.

ასე რომ, გაითვალისწინეთ:

— საჭმელთან დღის 2 საათიდან 4 საათამდე ჯდომა საზიანოა. ამ დროს ადამიანის „შინაგანი მაღვიძარა" გაჩერებულია;

— მოსწავლეთათვის ყველაზე ნაყოფიერი დრო სამეცადინოდ 16.30-დან 18.00-საათამდეა;

— სამსახურში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა 10.00-დან 12.00-საათამდე სჯობს, რადგან ამ დროს ჩვენი „მაღვიძარა" სრული დატვირთვით მუშაობს;

ხელსაქმისათვის საუკეთესო დროა 15 საათსა და 16 საათს შორის;

— ნემსის ჩხვლეტას ადამიანის კანი ყველაზე უკეთ დილის 9 საათზე იტანს;

— სპორტულ-გამაჯანსაღებელი ვარჯიშებისათვის, დილას ან საღამოს დღის პირველი საათი სჯობს, ამ დროს ჩვენი კუნთები უფრო მეტ უნარს ამჟღავნებენ;

— ამავე დროს, ანუ დღის პირველ საათზე, ჭმედითუნარიანია კუჭიც. თუ არ სადილობთ, ამ დროს კუჭის წვენი მაინც დიდი რაოდენობით გამოიყოფა;

— ადამიანის სქესობრივი ჰორმონალური აქტივობის მაქსიმუმი დილის 8 საათზეა. ასე რომ, თუ სადმე არ მიგეჩქარებათ...

— ალკოჰოლს ღვიძლი ყველაზე უკეთ 18.00-დან 20.00 საათამდე აღიქვამს;

— ფილტვები ინტენსიურად მუშაობს 16.00-დან 18.00 საათამდე. ესეც ყველაზე უკეთესი დროა ჰაერზე სეირნობისათვის;

— 17.00-დან 19.00 საათამდე ადამიანს მაქსიმალურად გამახვილებული აქვს სმენა, ყნოსვა და გემო;

— ნახეთ: ბავშვების უმრავლესობა იბადება შუაღამიდან დილის 4 საათამდე... აქ უკვე, როგორც ღმერთი ინებებს....

— ეცადეთ, საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე მარტო ნუ დარჩებით. ამ დროს ყველაზე მეტად მძაფრდება სიმარტოვის შეგრძნება.

— ღამის 2 საათს — ბრმა საათს უწოდებენ. ყველასთვის და მით უმეტეს მძღოლებისათვის ამ დროს მხედველობა მაქსიმალურად დაქვეითებულია;

— მათთვის, ვინც ღამის ცვლაში მუშაობს: 3-დან 4 საათამდე შრომისუნარიანობა მკვეთრად ეცემა. ამიტომ ამ დროისათვის უმჯობესია ივახშმოთ;

— ყველაფერი ხდება და თუ სისხამ დილით, 4-დან 5 საათამდე, გაიზომავთ წნევას, შესაძლოა იგი ამ დროს ყველაზე დაბალი აღმოჩნდეს. აქვე: საღამოს 10 საათისათვის, ადამიანის ორგანიზმი ინფექციას ყველაზე უკეთ ეწინააღმდეგება; თვალით ვერ შეამჩნევთ, მაგრამ 16.00-დან 18.00 საათამდე ფრჩხილები განსაკუთრებული ინტენსიურობით იზრდება.

ოთარ ტურაბელიძე.

ახალი ეტაპი ვირუსოლოგიაში

ლუიზიანის უნივერსიტეტის ვირუსოლოგმა რობერტ ჰერრიმ ახალი ვირუსი აღმოაჩინა. ეს ვირუსი იწვევს ადამიანის იმუნური სისტემის მოშლას და ძალიან ხშირად ხდება მიზეზი უამრავი დაავადებისა. მათ შორის კანის ტუბერკულოზისა და რევმატული პოლიართრიტისა.

ახალი ვირუსი გვაგონებს შიდსის ვირუსს და მიკროორგანიზმების რაოდენობით რიგით მესამეა (შიდსის ვირუსის და ლეიკემიის გამომწვევი ვირუსის შემდეგ), რომელიც განეკუთვნება ადამიანის ორგანიზმში აღმოჩენილ რეტროვირუსის კლასს.

ჰერრის აზრით, ახალი რეტროვირუსი დაგვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ აღინიშნება ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი რეაქცია შიდსის ვირუსზე, თუმცა პაციენტი სულაც არ არის მისი მატარებელი.

ავტორიტეტულ მეცნიერიმუნოლოგებს მიაჩნიათ, რომ ჰერრის მიერ მიღებული შედეგები სათავეს დაუდებენ მთელ რიგ გამოკვლევებს, რომლებმაც უნდა მიგვიყვანოს ახალი რეტროვირუსების აღმოჩენამდე და ნათელს მოჰფენენ ადამიანის მრავალ სერიოზულ დაავადებათა წარმოშობას.

ნუთუ ესეც სინამდვილეა

To be or not to be...

ირლანდიაში ცხრიდან თერთმეტ წლამდე ასაკის ყოველ მესამე მოსწავლეს მიაჩნია, რომ... ცხოვრებას აზრი არა აქვს.

ერისათვის ამ შოკისმომგვრელ მონაცემებს იძლევა ირლანდიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკვლევები.

ამ მონაცემებით თხუთმეტი პროცენტი ბავშვებისა თავს იმდენად მარტოდ გრძნობს, რომ არ სურს სიცოცხლის გაგრძელება, თვრამეტი პროცენტი გამოკითხული მოსწავლეებისა საკუთარი თავის სიცოცხლის სიმძიმით იზიარებს ამ პესიმისტურ განცდას.

ამ გამოკვლევის ავტორთა აზრით, ირლანდიელი მოსწავლეების ადრეული პესიმიზმი პირდაპირ კავშირშია მათ გარშემო მყოფ მოზრდილებთან.

„ირლანდიაში მოზრდილები არ ჩქარობენ ახალგაზრდა თაობის შექებას, რათა ამ შექებამ დათვური სამსახური არ გაუწიოს მათ, — დასძენს ბავშვთა ფსიქიატრიის ეროვნული კონსულტანტი მაიკლ ფიცჯერალდი, — და სრულიად ამაოდაც, გაცილებით მეტი ბავშვი იტანჯება საკუთარი თავისადმი უნდობლობით, ვიდრე განებივრებით".

„ნუ შეგეშინდებათ, ყოველთვის ზედმიწევნით მიანიჭოთ თქვენს პირმშოს, თუნდაც ისინი ამას არცთუ ისე იმსახურებდნენ", — გვირჩევენ ამ გამოკვლევის ავტორები.



ნაპოლეონ ბონაპარტი

ავადმყოფი თუ გენიოსი?

ნაპოლეონის სიკვდილიდან საუკუნენახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ კამათი მისი პიროვნების, მისი დამსახურებისა და შეცდომების შესახებ დღესაც არ ცხრება, და რა საოცარიც უნდა იყოს, არ წყდება კამათი იმპერატორის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებითაც.

1964 წელს გამოქვეყნებულ ო. ბრინგის (შვედეთი) სტატიაში, რომელიც ბონაპარტის ავადმყოფობასა და სიკვდილს ეძღვნებოდა, მეცნიერული თვალსაზრისით იყო განხილული მემუარებსა თუ ლიტერატურულ წყაროებში არსებული მისი ავადმყოფობის ამსახველი ფაქტები.

ნაპოლეონის ფიზიკური განვითარება სამ სტადიად დაყო ბრინგმა. ბავშვობისას და ჭაბუკობისას იგი მცირე ტანის და საკმაოდ ნაზი იყო. ოცდაათი წლის შემდეგ მან გასუქება დაიწყო და ელბაზე ათთვიანი ლაშქრობის დასასრულს უკვე საკმაოდ მსუქანი იყო. საერთოდ, ოცდაათი წლის შემდეგ, მამაკაცები, რომლებიც თავს არ უვლიან, წონაში იმატებენ, მაგრამ ნაპოლეონს პროგრესირებადი სიმსუქნე აღენიშნებოდა.

...1913 წელს შოტლანდიელმა ექიმმა გუტრიემ ივარაუდა, რომ 1809-10 წლებში იმპერატორს ჰიპოფიზის კეთილთვისებიანი სიმსივნე განუვითარდა, რაც ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და სიმსუქნის მიზეზად უნდა ჩაითვალოს. როგორც ექიმ გუტრიეს მიაჩნია, ნაპოლეონს აწუხებდა ადიპოზურ-გენიტალური დისტროფია. ეს დიაგნოზი არაერთხელ იქნა გადასინჯული, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველა ექიმი ეთანხმებოდა გუტრიეს. ადიპოზურ-გენიტალური დისტროფია ნაპოლეონს გაუჩნდა არა ბავშვობის ასაკში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ მოწიფულობისას. კლინიკური სურათი სავსებით ესადაგება ავადმყოფის ნიშნებს.

იმპერატორს 40 წლის ასაკში აწუხებდა: ხშირი შარდვა (მცირე ულუფებით), მაჯისცემის გაიშვიათება, სხეულის ტემპერატურის დაქვეითება, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, მხედველობის გაუარესება, თავის ტკივილი, ეპილეფსიური გულყრა, მეტყველებისა და აზროვნების შენელება, ქალური ტიპის სიმსუქნე. ავადმყოფობის ამ ნიშნებს თან ერთვოდა გარეგნული სასქესო ნიშნების სიმცირე და დაბალი სექსუალური ლტოლვა.

ჩამოთვლილი სიმპტომები შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ჰიპოფიზის დაზიანებისას, არამედ ჰიპოფიზის ახლოს მდებარე ჰიპოტალამუსის დაზიანებისასაც.

ნაპოლეონის გვამის გაკვეთისას შარდის ბუშტში ანთებითი პროცესები და კენჭები აღმოაჩინეს. ხშირი შარდვა, რომელიც ნაპოლეონს ახალგაზრდობის წლებიდანვე აწუხებდა, შესაძლოა, კენჭებისა და ანთების ბრალი ყოფილიყო.

მხედველობის დაქვეითება, რომელიც მას წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებისას აღენიშნებოდა, ასაკობრივი შორსმხედველობის ბრალი შეიძლება იყოს.

ხშირი თავის ტკივილი კი, გამუდმებული ყაბზობით შეიძლება ავხსნათ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ დროს ავადმყოფს უვითარდება გონებაშეზღუდულობაც, აგრესიული ხდება, ადვილად ღიზიანდება, მეტყველება დუნე და მონოტონური უხდება, თუმცა ამას ნაპოლეონისათვის ხელი არ შეუშლია გამარჯვებული ყოფილიყო, როგორც ბრძოლის ველზე, ასევე პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ სოციალური რეფორმებისას.

რაც შეეხება ნაპოლეონის მამაკაცურ ღირსებებს, ეს საკითხიც საკამათოა. , როგორც ცნობილია, მას სამი შვილი ჰყავდა. სამივეს დედა სხვადასხვა ქალი იყო. 1810-დან 1815 წლამდე იმპერატორს ინტიმური დამოკიდებულება ჰქონდა, სულ ცოტა, ექვს ქალთან, წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებისას მასთან ცხოვრობდა გრაფინია მონტოლონი, ევროპაში დაბრუნების შემდეგ კი მისი ყურადღების საგანი იყო გრაფინია ბერტრანი.

1812-1815 წლებში ნაპოლეონს თავისი გონების ტაქტიკური და სტრატეგიული შესაძლებლობის დემონსტრირება უხდებოდა და შეუძლებელია, რომ იგი ამ წლებში გონებაშეზღუდული და აპათიური ყოფილიყო.

თუმცა, გვამის გაკვეთამ მართლაც დაადასტურა, რომ ნაპოლეონს ჰქონია ადიპოზურ-გენიტალური დისტროფია, მაგრამ ამის გამო დიდი კორსიკელი სულაც არ იყო დაზიანებული ინტელექტუალურად. მას ჩვეულებრივი ადამიანური თვისებები გააჩნდა — კარგიც და ცუდიც.

დიდი ბრიტანეთი, „ხაუჟტრუმი".

სხვა გაზეთებიდან

ამ დღეებში

მღელვარე ზამთრის ეტიუდები

ვილენ მარდალეიშვილი.

„მიშველეთ, ხალხო!...“

მთელი ოჯახი ტელევიზორის ეკრანს შესცქერის — ძმათა ომის ეპიზოდებს აჩვენებენ.

— „მიშველეთ, ხალხო!...“ ისმის განწირული ხმა უწვერული ჭაბუკისა, „მიშველეთ, ხალხო!“... წამოდგომას ცდილობს დაჭრილი, მაგრამ ღონე აღარ ყოფნის.

„ღმერთო, ღმერთო... ამას, რას მოვესწარით!...“ ოჯახის დიასახლისს თვალებში ცრემლი ჩასდგომია... შუახნის მამაკაცი ტუჩებს იკვნეტს, მერე თავის ახლადშეღერებულ ვაჟიშვილებს ფრთხილად გადახედავს. ამათგან — ერთ-ერთს — ზვიადი ჰქვია, იმ ზვიადის სეხნიაა, დისიდენტი რომ იყო, „დაუმორჩილებელი ბიჭების“ ღირსეული ძმა რომ გვეგონა.

გვეგონა...

ბუნკერში ჩამალულა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და იმერ-ამერს ერთმანეთზე აქეზებს...

„მიშველეთ, ხალხო!...“ ხმა აღარ ყოფნის ძმათა ტყვიით დაჭრილ ჭაბუკს...

„დავახრჩობ დედას, დავახრჩობ მამას!...“

უნივერსიტეტის ეზოში მამაკაცებისა და ქალების ავადალგზნებული ბრბო გარს შემოჯარვია პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს. „არამზადავ!...“ „ნაძირალა!..“ ახლავე გამოიყვანე სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები და ამ სისხლიანი მთავრობის დასამხობად გაგვიძეხი!...“. კივიან, ყვირიან, მუშტებს უღერებენ ღვაწლმოსილ მეცნიერს, ვილა დაგიდევს იქვე განსვენებული ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, კორნელი კეკელიძის, შალვა ნუცუბიძის... წმინდა საფლავებს, ბრბო ჭკუიდან გადასულა.

მოგვიანებით სტუდენტების სიმარჯვით გადარჩენილი საქართველოს ისტორიის მკვლევარი, გაფითრებული ამბობს: „მადლობა ღმერთს, ნაცნობი სახეც კი ვერ შევამჩნიე იმ ხალხში...“.

ეეეჰ, ძვირფასო პროფესორო, თქვენ ხომ იყავით იმათთვის ნაცნობი?!

გურულების სადღეგრძელოს ფასი

შენ აგაშენა ღმერთმა, ჩემო კოკა... რავა გამახარე... ამ უკუღმართმა დრომ მისვლა-მოსვლაც დაგვავიწყა... კაი კაცი ხარ, რომ გვნახე... მოდი, მშვიდობას გაუმარჯოს... ხომ ხედავ, გურულების სადღეგრძელოს რა ფასი დაედო... ამ სადღეგრძელოს ადრე ისე ვამბობდით, თითქოს ვალს ვიხდიდით... საბჭოთა კავშირი და ამერიკა თუ ომს არ იზამდნენ, გვეგონა, სხვა ყველაფერი კარგად იყო... თურმე არ მოიცდი?.. ჩვენი უბედურების შემყურეს, სულ ყურში ჩამესმის სულგანათლებული მერაბ კოსტავას ხმა... ერთხელ, ტელევიზორში თქვა... თუ არ გავერთიანდით, ისეთ დღეში ჩავცვივდებით, შეიძლება ხელის ცეცებით ვეძებდეთ ერთმანეთს და ვერ ვპოულობდეთო... დაახლოებით ასე თქვა, ცხონებულმა... ჰოდა, მგონი აგვიხდეს, თუ ჭკუას არ მოუხმო ქართველმა კაცმა..., მოდი, მშვიდობას გაუმარჯოს ჩვენს მიწაზე, ჩემო კოკა... გვეყო, რაც სისხლი და ცრემლი დაიღვარა, მშვიდობას გაუმარჯოს!... აბა, მიირთვი, ნუ გეშინია... შალიკო ხვინგიაძისა არ იყოს, ხუთნაირი ღვინო მაქვს...

გაიხსნა ჯანმრთელობის ახალი კერა

პირველად ჩვენს რესპუბლიკაში, თბილისის № 2 ბავშვთა კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე, გაიხსნა ქირურგიული პროფილის ულტრაბგერითი განყოფილება, სადაც მაღალკვალიფიციურ დონეზე ხორციელდება მუცლის ღრუს სამედიცინო გამოკვლევა.

— დღეისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამ განყოფილების ხელმძღვანელმა არჩილ გედენიძემ, — შესაძლებლობა მოგვეცა ბავშვის ორგანიზმისათვის თითქმის უმტკივნეულოდ გავაკეთოთ სადიაგნოსტიკო სამკურნალო ოპერაციები. ჩვენს საავადმყოფოში გამოყენებულია მხოლოდ უცხოური წარმოების აპარატურა.

— საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, — თქვა საუბრისას საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გელა საყვარელიძემ, — ყველაფერი იღონა, რომ პატარა პაციენტებისთვის გახსნილიყო ახალი სამკურნალო კერა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

შეიქმნა აჭარის აღორძინების კავშირი

მიხეილ გორგილაძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე შეხვდა ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, რომ შეიქმნას აჭარის აღორძინების კავშირი, რომლის მთავარი მიზანი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება და განმტკიცება, ალმშენებლობა და ეკონომიკური აღორძინება, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ფართო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება. ითქვა, რომ მასში უნდა გაერთიანდეს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომელიც მზად არის თავისი ცოდნა და შესაძლებლობა პრაქტიკულად მოახმაროს ქვეყნის კეთილდღეობას.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შემუშავდეს „აჭარის აღორძინების კავშირის“ პროგრამა და წესდება, აგრეთვე მოსახლეობისადმი მიმართვის ტექსტი.

ორიოდე დღის შემდეგ იქვე გაიმართა „აჭარის აღორძინების კავშირის“ დამფუძნებელი კრება. მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრება გახსნა ქ. ბათუმის პრეფექტმა თენგიზ ასანიძემ. აჭარის აღორძინების კავშირის პროგრამის, წესდების, მიზნებისა და ამოცანების შესახებ ილაპარაკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ასლან აბაშიძემ.

— კავშირს საფუძვლად უდევს, — თქვა მან, — ქართული ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, ჰუმანიზმი და სამართლიანობა, სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლება, აღორძინება და ეკონომიკური წინსვლა.

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა კავშირის პროგრამა და წესდება.

კრებამ „აჭარის აღორძინების კავშირის“ თავმჯდომარედ აირჩია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

თბილისის ქუჩებში

მეგობრები. სათაგურების გამყიდველი.

სიმონ კილაძისა და სანდრო მამასახლისის ფოტო.

გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა

ქეთევან წამებულის პროსპექტის რეკონსტრუქცია-გაფართოებასთან დაკავშირებით თბილისის მთავარი არქიტექტორის გადაწყვეტილებით დაინგრა ბიბლიოთეკა, რომლის სამკითხველო დარბაზი ერთდროულად 90 კაცს ემსახურებოდა.

დედაქალაქის მერიამ გაითვალისწინა ამ მჭიდროდ დასახლებული უბნის მცხოვრებთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნები, და მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად გამონახა საიმისო სახსრები, რომ მწყობრში ჩაეყენებინათ კულტურის ახალი კერა.

ბიბლიოთეკამ, რომლის წიგნის ფონდი 70 ათას ტომს აღემატება, გუშინ მიიღო მკითხველთა პირველი ჯგუფი. აქ მოქმედებს ქართული, სომხური და რუსული სექტორები, პერიოდიკის განყოფილება კი 35 სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთებს იღებს.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის მერიის კულტურის სამმართველოში აცნობეს, ახლა დედაქალაქში კულტურის სამინისტროს კუთვნილი 79 მასობრივი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს. წლის ბოლომდე მათ 8 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება შეემატება.

ჩოგანი

ALBERTVILLE 92.

ავსტრიელთა დღე

ზამთრის სპორტის ერთ-ერთ ულამაზეს სახეობაში თხილამურებით სწრაფდაშვებაში, რომელიც კომბინაციების ჩათვლაში შედის, ქალთა შორის ავსტრიელმა პეტრა კრონბერგერმა გაიმარჯვა. მომდევნო ადგილებზე ამერიკელი კრისტა შმიდინგერი და გერმანელი კატია ზაიცინგერი გავიდნენ.

ავსტრიელმა მანდილოსნებმა 12 თებერვალს კიდევ ორი ოქროს მედალი მოიპოვეს — ერთადგილიან ციგით ასპარეზობაში პირველი და მეორე პრიზიორები გახდნენ დორის ნოიერი და ანგელიკა ნოიერი. მესამე საპრიზო ადგილზე გერმანელი სიუზი ერდმანია.

მომდევნო დღეს 5 კილომეტრზე თხილამურებით რბოლაში ჩემპიონია ფინელი სპორტსმენი ქალი — მარიუტ ლიუკკარინენი.

ფრისტაილის ერთ-ერთ სახეობაში (მოგული) ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ედგარ გროსპირონი, მეორე ადგილიც ფრანგმა ოლივიე ალლა-მანმა მოიპოვა. ამერიკელი ნელსონ კარმიხელი — მესამეა.

ქალთა შორის იგივე სახეობაში პირველია ამერიკელი დონა უაინბრეხტი.

ხომ არ ავჩქარდით?

ზურაბ რცხილაძე,
საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

ამას წინათ ტელევიზიით თბილისის „დინამოს“ რამდენიმე თამაშის ჩანაწერი გადმოსცეს. გადაცემის შემდეგ მეზობლები — ახალგაზრდები თუ ხანდაზმულები, ეზოში გამოვეფინეთ და თამაში ისე გავარჩიეთ თითქოს პირველად გვენახოს ევროპული ტურნირების ეს სამახსოვრო სანახაობა.

სამახსოვრო-მეთქი არ წამომცდენია, რადგან ამ სიტყვის სათავეში მეხსიერებაა, ხოლო მეხსიერება, მოგეხსენებათ, თვითონ ადამიანი გახლავთ. ამგვარი მსჯელობის გზას თუ გავყვებით ერთ, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულობას შევეყრებით: ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის მფლობელი „დინამოა“ თუ „იბერია“? გავიხსენოთ: ეს ის „დინამოა“, რომელმაც ბევრ წუხილთან ერთად ათწლეულების მანძილზე განუმეორებელი სიხარულიც მოგვანიჭა, ეს ის გუნდია, რომელმაც მრავალი ვარსკვლავი მისცა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ფეხბურთსაც. ეს ხომ ის გუნდია, რომლის ლეგენდარულ კაპიტანს ბორის პაიჭაძეს ევროპის ერთ ქვეყანაში „ფეხბურთის კარუზო“ უწოდეს, ხოლო მიხეილ მესხს — „გარინჩა მტკვრის ნაპირებიდან“. ეს ის „დინამოა“, რომელიც საქვეყნოდ აღიარებულ ფეხბურთის გრანდთან პრინციპულ მატჩში პირველ ტაიმს ერთით ოთხზე აგებდა და თამაში ხუთით ოთხზე მოიგო. ეს ის დინამოა, რომელზეც ინგლისელებმა დაწერეს: ფეხბურთის სამშობლოში იმიტომ გვეწვია, რათა ჩვენთვის თამაში ესწავლებინაო. ქრუოლა მიტანს... ჩამოთვლა კი ყოველ ჩვენთაგანს მსოფლიოს მოწინავე კონტინენტების სტადიონებზე გაგვიყვანდა სიამაყით, ოვაციებით, ულამაზესი გახსენებებით.

რა ვქნათ?

მუდამ, როცა „იბერიას“ ვახსენებთ, იქვე ისიც ხომ არ დავაყოლოთ — „ეს ის გუნდია, რომელიც წარსულში“... და მერე სიცხადისათვის მოვყვეთ და მოვყვეთ?

ხომ არ ავჩქარდით, როცა „დინამოს“ სახელი შევუცვალეთ?!

ცხადია, რომ ზოგს საწინააღმდეგო მოსაზრებაც ექნება და შეიძლება მამულიშვილური გრძნობების ფერისცვალებაც კი დამწამოს, მაგრამ სწორედ მათ მინდა თხოვნით მივმართო: ნუ აჩქარდებით და ხელაღებით ნუ გამომიტანთ ურიგო განაჩენს, მე მხოლოდ წარსულის მოკვეთის, მხოლოდ ფესვის ამოგდების წინააღმდეგი ვარ და სხვა არაფერი.

აი, რას გვასწავლის ბრძენი ილია ამის თაობაზე: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა“. ჰოდა, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ოფლით ნაშენი ეს ბალავერი.

ისიც სათქმელია: დღეს რომ ახალი გუნდი იბადებოდეს, უეჭველად ქართული სახელის მომხრე ვიქნებოდი, მაგრამ დიდი ხნის წინანდელი ნათლობის სახელის გადარქმევას, რა ვქნა, ვერ შევეჩვიე და ალბათ ვერც შევეჩვევი, რადგან „დინამო“ მხოლოდ გუნდის კი არა, მთელი თაობების ბიოგრაფიაც არის. და რადგან ასეა, გავიხსენებ: 1946 წელი თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „დინამო“, თამაშის დაწყებამდე არც არაფერი რჩება. თოთხმეტი წლისაც არა ვარ, ბილეთს ვინ მაღირსებს — წყვეტაა. ჰოდა, ბიჭბუჭებთან ერთად მრავალგზის ნაცადი გზა ავირჩიე: სტადიონის შუბებით აწყვეტილ ღობეს გადაველე და... მილიციელმა მდია და ამჯერად დამიჭირა. თამაშის ნახვა წყალში მეყრებოდა და ეს საშინელება იტყობა სახეზე ისე ამებეჭდა, რომ მილიციელი ერთბაშად მოლბა, მაგრად წამითაქა და მაყურებლებში შემაგდო.

ის მატჩი თბილისის „დინამომ“ სამით ორზე მოუგო ინგლისის სტადიონებიდან ტრიუმფით დაბრუნებულ მოსკოველებს.

ვფიქრობ და წარსულის ბევრი სურათი მიცოცხლდება თვალწინ, მაგრამ ხანდახან, რატომღაც ავადმოსაგონარიც კი არ მაგონდება ავად: გახსოვთ როგორ გვჩაგრავდნენ მსაჯები, როგორ გვიყვარდა მაშინ ერთმანეთი, როგორ ვიდექით ერთად...

...მონატრებით კი, ხალხით გადაჭედილი სტადიონი მენატრება და ვაჟა აზარაშვილის ბრწყინვალე სიმღერა: დინამო, დინამო, ბიჭებო!!!

გამოსათხოვარი

დავით ლორთქიფანიძე



ქართულმა მეცნიერებამ, პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადეს. წავიდა ჩვენგან დავით ლორთქიფანიძე — ცნობილი პედაგოგი, მეცნიერი, აკადემიკოსი, მრავალი წლის მანძილზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, ბოლო ხანებში ამ კათედრის მეცნიერი-კონსულტანტი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტი დღიდან დაარსებისა, ბოლო სამი წლის განმავლობაში კი მისი საპატიო თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პრაღისა და ბრატისლავის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, გოგებაშვილის, ჯავახიშვილის, კომენსკის, უშინსკის მედლების კავალერი. დ. ლორთქიფანიძის წოდებების და ჯილდოების ეს არასრული ნუსხა არაფერს ამბობს იმაზე მეტს, რასაც საქართველოს მასწავლებლობა და ფართო საზოგადოებრიობა გულისხმობდა მის სახელში — ფართო პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური განათლების ადამიანი, რომელიც მუდამ ფიქრობდა და ახალ გზებს ეძებდა აღზრდის ამოუწურავი პრობლემების გადასაწყვეტად, მკვლევარ-მეცნიერთა საიმედო კადრების მოსამზადებლად.

დ. ლორთქიფანიძე დაიბადა 1905 წ. ვანის რაიონის ს. სალხინოში. 1912 წელს შეიყვანეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ 1923 წლიდან ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

1937 წლიდან დ. ლორთქიფანიძე განუწყვეტლად მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, კათედრის პროფესორ-კონსულტანტად.

დ. ლორთქიფანიძის ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა პედაგოგიკის მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტში დირექტორად მუშაობისას.

დ. ლორთქიფანიძის თეორიული მოღვაწეობა იმ დიდი ჭეშმარიტებით არის გაჯერებული, რომ ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდა წმინდა და საზოგადოების ბედის განმსაზღვრელი ამოცანაა და მის განხორციელებას უნდა წარმართავდნენ ერუდირებული, კეთილშობილი და ალტრუისტი ადამიანები. ამასთან, მთელი მისი ცხოვრება განასახიერებდა სიკეთეს, კაცთმოყვარეობას.

დავით ლორთქიფანიძის ნათელი ხსოვნა ქართველთა მომავალ თაობებს გადაეცემა.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო;
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოება;
იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოზიაშვილი.

საქვირაო

თავშესაქცევად

თარაზულად: 5. დანიელი მხატვარი-კარიკატურისტი. 10. სამხედრო ფორმის ქურთუკი. 11. 1972 წ. თეთრი ოლიმპიადის ჩატარების ადგილი იაპონიაში. 12. ერთწლიანი ხვიარა დეკორატიული მცენარე. 13. საქართველოს მდინარე. 14. ფრანგი საესტრადო მომღერალი. 15. ქალის თავსაბურავი. 17. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების პერსონაჟი. 18. ანტაბლემენტის შუა ნაწილი. 19. კელტური ტომების სახალხო მგოსანი — მომღერალი ირლანდიაში, უელსსა და შოტლანდიაში. 23. მეორეხარისხოვანი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 26. ტვირთის საზიდარი ხარი. 27. ამერიკელი არქიტექტორი, პირველი ცათამბჯენის—ტრიბიუნბილდინგის პროექტის ავტორი. 28. კახი ქავსაძის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ფილმში — „ღვინის ქურდები“. 30. ლიტერატურული ჟანრი. 31. პატარა მტაცებელი ცხოველი. 32. ვ. ნინუას მიერ განსახიერებული პერსონაჟი ფილმში „მწვერვალთა დაპყრობანი“. 33. ერთ-ერთი უძველესი უნივერსალური ლექსიკონი მსოფლიოში.

შვეულად. 1. აზიის სახელმწიფო. 2. ქართველი პოეტი. 3. ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული წეს-ჩვეულებები. 4. ნომრით აღნიშნული ამა თუ იმ კომპოზიტორის ცალკეული მუსიკალური ნაწარმოები. 6. კ. დაუშვილის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ფილმში „ქალიშვილი ხიდობნიდან“. 7. რისამე საჯარო დემონსტრაცია განუწყვეტლივ. 8. იანვრის ძველი ქართული სახელწოდება. 9. ხელით ნაწერი ასოების გრაფიკული ფორმა. 15. მუნიციპალური სამმართველო. 16. ფრთიანი ნაყოფის მქონე საშუალო სიმაღლის ხე. 19. ნაბეჭდი ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც შესავსებად დატოვებულია თავისუფალი ადგილი. 20. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე. 21. მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რაიმე უთანხმოების, კონფლიქტების გარჩევისას. 22. მეცნიერების დარგი. 24. აფრიკის სახელმწიფო. 29. რადიოაქტივობის საზომი ერთეული. 30. ს. რახმანინოვის ოპერა.



8 თებერვალს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 8. მონოლითი. 9. რეიტერი. 11. უშუ. 12. ახლი. 13. ტრეკი. 14. ზმა. 15. ოლქი. 16. ტესტი. 19. შოუ. 21. რადა. 23. ბარელიეფი. 24. ზაირი. 25. დიბა. 26. რაკეტა. 27. ინა. 28. ფრაზა. 30. ტიპი. 32. ემუ. 35. პრეფექტი. 36. არახამია.

შვეულად: 1. კონსოლიდაცია. 2. კოლიზია. 3. დისჰარმონია. 4. ბიუჯეტი. 5. ბრუტოსი. 6. ფიშერი. 7. პერინი. 10. იდიში. 17. არიკა. 18. რეფრენი. 20. კეკელიძე. 22 აზარფეშა. 23. ბირჟა. 29. აბრა. 31. იდეა. 32. ერა. 33. სპა. 34. სია.

უცხოური კარიკატურა



უსიტყვოდ.

ახალი ჩემპიონი

პარიზში დამთავრდა მსოფლიო პირველობა ჭადრაკის სწრაფ თამაშში (პარტიაზე თითოეულ მეტოქეს 30 წუთი ეძლევა). ამჯერად ჩემპიონი გახდა ჰოლანდიელი დიდოსტატი, 39 წლის იან ტიმანი, მან გაუსწრო გ. კასპაროვს, ა. კარპოვს, ვ. ანანდს, ვ. ივანჩუკს...

ამოცანა
გივი მოსიაშვილი (რუსთავი)
შამათი ორ სვლაში



რუსთაველი პედაგოგის გივი მოსიაშვილის ამ შესანიშნავმა ამოცანამ პირველი პრიზი დაიმსახურა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ის 1991 წლის საერთაშორისო კონკურსში. შეჯიბრების არბიტრი წერს, რომ ამ გონებამახვილურ, ფართო მასშტაბის, თვითმყოფადი სიუჟეტის მქონე ამოცანას საინტერესო საჭადრაკო შინაარსიც აქვსო. სცადეთ ამოხსნათ იგი. ოღონდ ფხიზლად იყავით: ამოცანაში შენიღბულია რამდენიმე მცდარი კვალი.

ყურადღება!

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამმართველო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ეროვნული მილიციის სათანადო კადრებით უზრუნველყოფის მიზნით სამუშაოდ იწვევს:

1. ოფიცრის თანამდებობაზე 30 წლამდე ასაკის მოქალაქეებს, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სამსახური, დამთავრებული აქვთ ან აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებელი განყოფილების დამამთავრებელ კურსზე შემდეგი სპეციალობით:

ელექტროკავშირგაბმულობა, რადიოტექნიკა და ელექტრონიკა. აგრეთვე იურიდიული განათლების მქონე მოქალაქეებს.

2. მილიციელის თანამდებობაზე საშუალო განათლების 30 წლამდე ასაკის მოქალაქეებს, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სამსახური.

3. ხელფასი მიეცემათ შ. ს. ორგანოებში მუშაობის სტაჟის მიხედვით, ოფიცრებს — 400-დან 700 მანეთამდე, რიგით მილიციელებს 300-დან 500 მანეთამდე, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით ნავარაუდევია არსებული ხელფასების კიდევ 100 პროცენტით მომატება.

4. მილიციის მუშაკები ისარგებლებენ შემდეგი შეღავათებით: ყოველწლიური შვებულება 30-დან 45 დღემდე, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შეღავათიანი საგზური, სპეციალურ სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებებში მომსახურება, უფასო მგზავრობა საქალაქო ტრანსპორტით;

ცნობებისთვის მიმართეთ შემდეგი მისამართით:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, № 12.

საქ. რესპ. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამმართველოს კადრების განყოფილება.
ტელეფონი: 96-18-45;
96-63-16.

თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1992 წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
2. საფინანსო-საბანკო საქმიანობა
3. წარმოების ეკონომიკა
4. კომერციული საქმიანობის მენეჯერი
5. საბირჟო საქმე
6. ბიზნესის სამართალმცოდნეობა
7. ისტორიის

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

განცხადება რექტორის სახელზე, ატესტატი ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (თუ მუშაობს), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობა — ფორმა № 086-უ, ოთხი ფოტოსურათი (3X4). პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მოწვევის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

აბიტურიენტთა მიღება ხდება ტესტების (გასაუბრების) მიხედვით შემდეგ საგნებში: ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტზე: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია; სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა და სამართალმცოდნეობა; ისტორიის ფაკულტეტზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), ისტორია.

უმაღლესი განათლების მქონე პირები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია როგორც ნაღდ ანგარიშში, ასევე გადარიცხვით.

საბუთები მიიღება 10-დან 20 თებერვლამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 15 საათამდე. გასაუბრება ჩატარდება 22 თებერვლიდან 25 თებერვლამდე. სწავლა დაიწყება 1 მარტს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის ადმინისტრაციის შემდეგი მისამართით:

ქ. თბილისი, მირცხულავას ქ. № 4, 22-ე საშუალო სკოლის შენობაში. ტელეფონი: 34-33-09, 34-18-59; 34-68-34; ტრანსპორტი: მეტრო დიდუბე, ავტობუსი: 43, 151, 209, 210, 215, 207 ტრამვაი 10, ტროლეიბუსი, 19.

მისამართი: 380096, თბილისი, ნ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 22-13-67; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible] კორპუსში, [illegible] ქ. № 29. შეკვეთა 64636.